ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი სხივი



№ 6

# შინაარსი


გვერ.

1. მესამე თაობა, ლექსი—კონ. ლორთქიფანიძისა . . . . 1

2. ილიჩის გზით,—პიესა ორ მოქმედებად და 6 სურათად—
იურცევისა თარგ. რუსულიდან X. . . . . . . . . . 2

3. მუშავ, დაჰკარ!—ლექსი დ. ელიოზიშვილისა . . . . 19

4. ტფილისის მე-18 შრ. სკ. გამოფენა—ილ. სიხარულიძისა 20

5. პიონერთა მოძრაობის გზები—კ. პ. . . . . . . . . 24

6. მერე რა ვუყოთ, ლექსი—თ. ჩქარეულისა . . . . . . 25

7. რა უნდა ახსოვდეს მუდამ პიონერს სოფლად,-დ. კარბელისა. 26

8. სამი თაობა—ლევგურისა სდასასრული—თარგ. შ. რხ—ისა. 27

9. ადიგე-ჩერქეზეთი—დასასრული ი. ა. . . . . . . . 31

10 თამაშობანი ყდაზე




# თამაშობანი

სოფლის ბავშებმა ბევრი თამაშობანი არ იციან და წმინდა ჰაერზე თამაშობა კი ჰმატებს ბავშს ძალ-ღონეს, ჯანმრთელობას და უნვითარებს სიმარდეს.

თამაშობანი აერთებს ბავშვებს და აკავშირებს ერთმანეთთან.

რასაკვირველია ყველა თამაშობა არ არის საინტერსო სოფლის ბავშებისათვის პირველად. ჩვენ აქ ისეთ თამაშობებს ავწერთ, რომლებიც უფრო ეგუება სოფლის ბავშებს და რომელსაც შეუძლია უფრო დაინტერესოს და შეაკავშიროს ისინი.

აქ ჩვენ—ავწერთ თამაშობებს ესტაფეტებს (ე. ი. თამაშობებს რბენით) რბენით თამაშობების ერთი მეორეზედ გაბმულათ თამაში ძალიან ღლის ბავშებს და არ ივარგებს.

### ესტაფეტები

ესტაფეტს ეძახიან რამოდენიმე მოთამშე კოლექტიურ შეჯიბრებებს რბენაში. მოთამაშენი გაიყოფიან ბავშების რიცხვის მიხედვით 2, 3, 10, და სხ., თანასწორ რიცხვიან ჯგუფებათ. ჩვენ ავწერთ, რამოდენიმე ესტაფეტს, რომლის მიხედვით, შეიძლება გამოგონებული იქნას ბევრი ახალი თამაშობა.

1. ერთ ჯგუფში მოთამაშენი დგებიან მწკრივად ერთი მეორისავან 20—50 ნაბიჯზე. იმათ გვერდით ასეთისავე წესით დგება მწკრივად მეორე ჯგუფი, ისე რომ ყოველი მოთამაშე უნდა იდგეს პირველი ჯგუფის მოთამაშესთან წყვილად. ნიშანის მიცემის შემდეგ ორივე ჯგუფის წყვილი ბაირაღით ან ქუდით ხელში მირბის წინ და გადასცემს მეორე წყვილს ბაირაღს, მეორე წყვილი მირბის წინ და მის ადგილს კი თვითონ იჭერს, მეორე წყვილი გადასცემს ბაირაღს მესამეს და თვითონ კი რჩება მესამის ადგილას და ასე მეორდება, სანამ ბაირაღი არ მივა სულ წინა წყვილამდის. სულ წინა წყვილის მოთამაშენი კი მირბიან წინდაწინ დანიშნულ ადგილამდე. (მაგ. ხე, კაცი) შეეხებიან მას ბაირაღით და გამორბიან უკან იმავე წესით. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც პირველად მიიტანს ბაირაღს თავის უწინდელ ადგილას. თამაშის დროს აკრძალულია მოთამაშის მიერ თავის ადგილის მოშორება, ბაირაღთან მირბენა და სხ.

2. უნდა გაიყვანოთ ხაზი—საზღვარი. ამ ხაზზე დგება ორივე ჯგუფის მოწინავე მოთამაშენი, უკან კი დგებიან რიგრიგით ყველა დანარჩენები, ნიშანის მიცემისათანავე, ორივე ჯგუფის მოწინავე მოთამაშენი ბაირაღით ხელში მირბიან წინდაწინ დანიშნულ ადგილის 20—50 ნაბიჯის სიშორეზე, შეეხებიან ბაირაღით ნიშანს, მორბიან უკან და გადასცემენ ბაირაღს შემდეგ მოთამაშეებს, რომელნიც პირველების გაქცევის დროს გადავიდენ და დადგენ ხაზზე. როგორც კი მიიღებენ ბაირაღებს, ისინიც მირბიან, შემდეგ ამნაირადვე იქცევიან ყველანი. გამარჯვებულად ითვლება ის ჯგუფი, რომ-

წ-63.


# წითელი სხივი

1925 ივნისი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტეტის ჟურნალი ბავშვებისათვის.

წელიწადი 2 № 6




## მესამე თაობა

სმენა! დროშები, დროშები მაღლა,
არ გვყოფნის ზეცა, თავანი ასწით:
დე, პიონერო, არ გრძნობდე დაღლას,
მკვრივი მუხლებით ქუჩებში გასწი.

და საზეიმოდ მორთულ სახეებს
გადაუფრქვიე ღიმილი შენი;
თაყვანი ეცი შენს მშობელ ქარხნებს,
ჩაქანდაკებულს რკინების ქშენით.

ჭაღარა მოხუცს, მუშას ოფლიანს
აკოცე შუბლში და უთხარ ასე:
„ძიავ, ვისწავლი და მთელ მსოფლიოს
ჩვენ არ მოვაკლებთ ზრუნვას და ალერსს“.

თქვენს მონაპოვარს, ცეცხლით და რკინით
მესამე მოდგმა მედგრად დაიცავს,
შეუმსუბუქებს დაჩაგრულთ ტკივილს
და სიხარულში გაახვევს მიწას.

**კონ. ლორთქიფანიძე.**



# ილიჩის გზით

მოქმედება

**რაზმში**

**მონაწილეობენ:**

1. სერგო 3. მარო რაზმის წინამძღოლი
2. თამრო 4. კაი

**5 რაზმი—(18—20 კაცამდე)**

ფარდის ახდამდის, სცენიდან ისმის მხიარული სიმღერა.

ფარდა ადის.

თეთრი სინათლეა.

ორივე კულისებიდან სიმღერით გამოდის რაზმი. ხმაურობა, ყვირილი, ჟრიამული და წივილი. გოგონები ჯგუფად მორბიან „სალაობის" თამაშით, ბიჭები ბურთიან ბიჭს მისდევენ. ზოგი ოთურმას თამაშობს ავანსცენაზე.

საერთო ხმაურობა და ყვირილია.

ქაოსს ჰკვეთს სასტვენის ხმა.

**ხმა:** ამხანაგებო, მოდით, „მამლების ბრძოლი" ვითამაშოთ.

**ხმები:** ვითამაშოთ.

— ვითამაშოთ·

— მოდის ,,მამლების ბრძოლა''.

**კაი:** ვისაც გინდათ ,,მამლების ბრძოლა'' ითამაშოთ, რიგში ჩადექით. (გამოდის შუაზე 6—7 კაცი და დგება მწკრივად. დანარჩენნი სხდებიან გრძელ დაზგებზე და ავანსცენაზე).

**კაი:** პირველი და მეორე გაიყავით,

**ხმები:** — პირველი,

— მეორე.

— პირველი.

— მეორე.

— პირველი.

— მეორე.

**კაი:** ორ მწკრივად დადექით, ,,მამლის ბრძოლისათვის'' მოემზადეთ. (ორივე მწკრივი დგებიან ერთმანეთის პირდაპირ სცენის ორივე ბოლოში, მაყურებლებისაკენ პროფილით და თამაშს იწყებენ კაის სარდლობით. ყოველი წყვილის შეტაკებას მეგობრული ყვირილით აქეზებენ. გამარჯვებულს ტაშის ცემით აჯილდოებენ. დამარცხებულს კი—სტვენით. როდესაც ყველა წყვილი მორჩება შეჯიბრებას, გაისმის ხმა).

**ხმა:** ამხანაგებო, მოდით საერთო ბრძოლა გავმართოთ ყველამ ერთად.

**ხმები:** —მოდით.

— ყველამ.

— დავიწყოთ.

**კაი:** რაზმო, დადექი ორწყებათ ,,მამლის ბრძოლისათვის"! (ყმაწვილები სწრაფად ეწყობიან ორ მწკრივად).

**კაი:** მოემზადეთ, დაიწყეთ! (ორივე მწკრივი ვაშას ძახილით ეცემიან ერთმანეთს. საერთო ბრძოლაა. ამ დროს დაზგების იქიდან გამოვა წინამძღოლი მარო. ცოტა ხანს ჯადიმებული შესცქერის ყმაწვილებს და შემდეგ სასტვენით აწყნარებს მათ).

**ხმები:** ყმაწვილებო, გაჩერდით!

— წყნარად!

— გაჩერდით, ამხანაგებო!

— რა ამბავია?

— ჰეი, თქვენ მამლებო, თავი დაანებეთ!

— რა მოხდა?

**ერთად:** ჩუმად, ჩუმად! (სიჩუმე ჩამოვარდება).

**მარო:** ყმაწვილებო, ახლავე პატარა კრება უნდა გავმართოთ.

**ხმა:** — რა საკითხებია?

**მარო:** აი დაჯექით და გავითვალისწინოთ ყველა საკითხები.

**ხმები:** —დაჯექით, ყმაწვილებო.

— დაჯექით ჩქარა.

— წყნარად!

— თავმჯდომარე საჭიროა?

**მარო:** რასაკვირველია.

**ხმები:** კაი ავირჩიოთ.

— გინდათ კაი? (ყველა ერთად): — კაი, კაი.

**მარო:** ვინ არის კაის მომხრე? ერთი... ორი .. სამი... ოთხ... ერთხმად! კაი, დაიჭირე შენი ადგილი.

**კაი:** ამხანაგებო, მდივანი უნდა ავირჩიოთ. დაასახელეთ კანდიდატები.

**ხმები:** სერგო, სერგო!

**კაი:** ვინაა სერგოს მომხრე? ერთხმად! სერგო, დაიჭირე ადგილი, დაანერწყვე ფანქარი და სწერე. (სერგო ჯდება სამდივნოდ).

**კაი,** (მაროს): რა არის დღის წესრიგში?

**მარო:** პატარა ინფორმაცია მაქვს.

**კაი:** სიტყვა ეკუთვნის ამხ. მაროს ინფორმაციისათვის. მარო, მოჰყევი.

**მარო:** ყმაწვილებო, მე სულ რამოდენიმე წუთს წაგართმევთ. აი რა საქმეა. ამ რამოდენიმე დღის შემდეგ, როგორც თქვენ თვითონაც იცით, დიდი დღესასწაულია—ოქტომბრის შვიდი წლის თავი. შვიდი წლის წინად რუსეთის მუშებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩამოაგდეს ბურჟუაზია და ძალა-უფლება თავიანთ ხელში აიღეს. მას შემდეგ ამ დიდებულ დღეს დღესასწაულობს მთელი ქვეყნიერობის მშრომელი ხალხი. ამ დღეს დღესასწაულობენ არა მარტო მუშები, არამედ მუშათა შვილებიც. თქვენ პიონერებმა, ძალიან კარგად იცით ამ დიადი დღის მნიშვნელობა, მაგრამ არიან ბავშები, რომელთაც სავსებით არ ესმით **ოქტომბრის** რევოლიუციის აზრი. მათ არ ესმით რა მოგვიტანა ჩვენ რევოლიუციამ, არ იციან რა მოაქვს კაპიტალს, და მისი მონა მოსამსახურეების ძალა-უფლებას იმ ქვეყნებში, სადაც ეს ძალა-უფლება ჯერ კიდევ კაპიტალისტების ხელში. იმისათვის რომ ყმაწვილებს ყველაფერი ეს უამბოთ, რაიონის ბიურომ მოაწყო საღამოები, და ამ საღამოებზე თქვენ პიონერებმა უნდა გააკეთოთ მოხსენებები და გააცნოთ შეუკავშირებელი ბავშები იმას, თუ საითკენ მიყევხართ თქვენ საბჭოთა ხელისუფლებას, რას გაძლევთ თქვენ იგი. გააცნოთ ჩვენ მუშაობას შიგნით, ჩვენში:

ბავშების მუშაობას ფაშისტების ქვეყნებში და მუშაობას უპატრონო ბავშებთან სოფლად, აუხსნათ რა არის ომი და მისი მიზეზი და სხ. და სხ. ჩვენ რაზმში უნდა აირჩეს ორი მომხსენებელი. ეს არჩევნები ახლავე უნდა მოვახდინოთ და მივანდოთ, მოემზადონ მოხსენებებისათვის. ვის სურს ამის შესახებ ლაპარაკი?

**ხმები:** ლაპარაკი არ უნდა! ავირჩიოთ მომხსენებლები.

— ავირჩიოთ და მორჩა!

**კაი:** მაშ გთხოვთ, კანდიდატები დაასახელოთ.

**ხმები** სერგო, იგი ზორბად მუშაობს.

— ვანო!

— თამარ.

— ნინო.

**კაი:** კმარა, კმარა. სიჩუმე!

**სერგო:** დასახელებულია შემდეგი კანდიდატები (წაიკითხავს სიას.)

**კაი:**—ვინ არის სერგოს მომხრე? ერთხმად! ვინ არის ვანოს?—

**მარო:** (შეაწყვეტინებს): შეჩერდით! მე წინადადებას გაძლევთ გოგონებიც აირჩიოთ.

**ხმები:** მართალია, მართალია.

— გოგონებიც საჭიროა. გოგონებიც.

**კაი:** (უსტვენს) სიჩუმე. პირველ კანდიდატად გოგონებიდან სიაში დასახელებულია თამრო. ვინ არის მომხრე? ასე. მაშასადამე ერთხმად. ხელები დაუშვით.

**სერგო:** მაშ მე და თამარ ერთხმად ვართ ამორჩეული. (უგირილი „ვაშა“ და ტაში)

**სერგო:** გთხოვთ სიტყვა მომცეთ.

**კაი:** სერგოს—სიტყვა.

**სერგო:** მე და თამარ რასაკვირველია მოხსენებას გავაკეთებთ, მაგრამ, ამისათვის საჭიროა სათანადო მასალა, თორემ ისე ძნელია.

**მარო:** ყოველგვარი მასალა მე მაქვს, შეგიძლიათ, მოხვიდეთ და წაიღოთ.

**სერგო:** ძალიან კარგი..

**კაი:** შეკითხვები ხომ არ გაქვთ?

**ხმები:** არავითარი, არა, არა.!

**კაი:** მაშ, სხდომას დახურულად ვაცხადებ. დაიშალენით ჯგუფურ მეცადინეობაზე.!

**ხმები:**—ჯგუფებად!

— დაიწყე სიმღერა!

— რა სიმღერა.?

— „წერო“

— არა „წითელი დროშა“.

— „წითელი დროშა“ ,,წითელი დროშა''.

**კაი:** აბა, დაიწყე „წითელი დროშა“.

**რამოდენიმე** ხმა.

(ამ სიმღერით შემოუვლიან სცენას თავისუფალ სიარულით და მიდიან მარცხნივ—კულისებში. სერგო რჩება თავის ადგილას. თამარ გაჰყვება მიმავალთ, შეჩერდება კულისებთან, თვალს ადევნებს).

**სერგო:** აბა, ჩემო თამრიკო, ერთი კარგი მოხსენება... არა?

**თამარ:** რასაკვირველია, მხოლოდ მასალა წამოვიღოთ.

**სერგო:** (ფიქრობს) ეჰ, მასალა რა არის... აი ახლა დაჯექი აეროპლანზე და გაფრინდი, ნახე შენივე თვალებით ყველაფერი... ეჰ რა კარგი იქნებოდა.

**თამარ:** (აღტაცებით) მართლა! ყველგან.. სოფლებში.. უპატრონო ბავშებთან გერმანეთში...

**სერგო:** აი მაშინ ნამდვილი მოხსენება გამოვიდოდა.

**თამარ:** კარგი... ერთი, სჯობია მოვიფიქროთ, თუ როგორ ვიმუშაოთ. იცი რა... შენ მოდი მომხსენებელი იყავი მე კი დამხმარე...

**სერგო:** რატომ?

**თამარ:** შენ უფრო კარგად გამოგივა, მე კი რაც დაგავიწყდება ვიტყვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სერგო:** კარგი. მაშ საქმე გაჩარხულია!..

**თამრო:** ახლა წამოვიღოთ მასალები და...

**სერგო:** აი დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ მეძინება... მთელი ღამე კლუბში ვიყავი... გაზეთს ვადგენდით.

**თამარ:** მე ძალიან გვიან მოვედი სახლში რგოლიდან. დედა ჯავრობს.

**სერგო:** ცოტა დავისვენოთ და ვიფიქროთ მოხსენებაზე. (სერგო ზის მარჯვენა დაბალ დაზგაზე. თამარ მარცხნივ. სერგო პირველ ხანს რაღაცას უსტვენს, შემდეგ თანდათან მისი სტვენა ეუჩდება. პაუზა. თანდათან სინათლე ქრება. სრულ სიბნელეში ინთება რიგ-რიგობით ოთხი ელექტრონის წერტილები, რომელიც ხან ქრებიან და ხან ისევ ინთებიან. გაისმის სტვენა, ხმაური. მანქანის ჩხარუნი, მოტორის რახუნი. ნათლდება ლურჯად და მობინდულ სცენაზე გამოიხატება მანქანა ფრთებით. თამარს გამოეღვიძება წამოხტება და გაიქცევა სერგოსკენ).

**თამარ:** სერგო! სერგო!

**სერგო:** (წამოხტება) ჰა? რა იყო?

**თამარ:** უყურე იქ რა დგას!

**სერგო:** მოდი ვნახოთ... (ფრთხილად დგებიან და მიუახლოვდებიან მანქანას. ირგვლივ ათვალიერებენ). რაღაც მანქანაა. უყურე, საჭე... ფრთები...

**თამარ:** აეროპლანს ჰგავს, მაგრამ აეროპლანი არ უნდა იყოს.

**სერგო:** თამრიკო, უყურე ორი დასაჯდომი ადგილი აქვს... მოდი, ჩავჯდეთ...

**თამარ:** უუ, საშიშია.

**სერგო:** რისა გეშინიან? ჩაჯექ... (ჯდებიან).

**სერგო:** (ათვალიერებს მანქანას). აქ რაღაც ბორბალია... გადავატრიალო?

**თამარ:** (შეშინებული) სერგო, ნუ ატრიალებ! ნუ... ვაიმე! (გრგვინვა. სტვენა. ხმაური. მრბენავი სინათლის წერტილები).

(მანქანა აფრინდება).

**თამარ:** სერგო! სერგო! უყურე, მივფრინავთ.

**სერგო:** უყურე, უყურე ქვევით სინათლის წერტილებს...

**თამარ:** აი რაღაც ზოლია, ალბათ, მდინარეა.

**სერგო:** უ-უ, ასე ჩქარა...

**თამარ:** ქვევით, ქვევით ვეშვებით...

**სერგო:** სულ ქვევით და ქვევით...

**თამარ:** ვაიმე! გავჩერდით! გამოვძვრეთ?!

**თამარ:** ნეტავი სადა ვართ?

**სერგო:** არც მე ვიცი. ახლავე გავიგებთ.

**თამარ:** შეჩერდი, აქ რაღაც ორმოებია... აი, იიიქ კი სინათლეა.

**სერგო:** წავიდეთ იქეთკენ...

**თამარ:** წავიდეთ... მაგრამ...

**სერგო:** მაგრამ რა?

**თამარ:** სახლში?

**სერგო:** თავი დაანებე ერთი, რა დროს სახლია.

**თამარ:** გაბედულად, ეგეც მართალია...

(ბავშები მიდიან — მარჯვნივ, უკანა მხარეს სინათლე ქრება. სიბნელეში მანქანას აიტაცებენ მაღლა. სიბნელე გრძელდება 10 — 15 წამი).

## სურათი მე-2-ე

## უპატრონო ბავშებთან

### მონაწილეობენ

1. სერგო 2. თამრო

3. უპატრონო ბავშები (7 კაცი)

სცენაზე ლურჯი სინათლეა.

მარცხნივ დაზგების ძირში, სანთლის ირგვლივ სამი ბიჭი თამაშობს ბანქოს — ამავე ჯგუფში მათი ბელადია. დაზგებზე აქეთ-იქით გაწოლილან რამოდენიმე ბიჭი. ორი — ავანსცენაზე სჭამს. მათთან ახლო ზის მშიერი ბიჭი და უყურებს პირში.

**მოთამაშე** — ასე... ახლა შენთვის!

— 20.

— შენია.

— თქვენ რამდენი?

— მაიყვა... ჩირიკი... კმარა!

— სამი გადადევი და გაათითურე... ფულები?

— ინებეთ.

**მჭამელი:** უჭეშენი ჭირიმე, რა ძეხვია! უთუოდ საუკეთესო ნეპმანის ძაღლისაგან არის გაკეთებული.

**მშიერი:** ვასოო, ჰა ვასო, ცოტა ძეხვი მომეციი...

**მჭამელი:** შეაყოლე, შეაყოლე აქედან, გიცნობთ ვაჟბატონო, მაგისთანები კიდევ ბევრი დაეხეტებით აქ.

**მშიერი:** ვასოო... ჰა, ვასო...

(პაუზა)

**მწოლარეთაგანი:** (არავის არ მიმართავს) ამასწინეთ ლუდხანაში შევედი. იქ კი გალეშილან. ვთხოვ — „მაჩუქეთ რამე პურისათვის, ერთი კაპეიკი მაინც...“ ერთმა შემომიბღვირა: „გიცნობთ რა ბიჭებიც ბრძანდებით თქვენ უპატრონოები, თქვენ წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო“, ერთი ისეთი წამითაქუნა გოგრაში, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა.

**ბელადი:** მე კი არ ვთხოვ, მთვრალებს რომ ვნახავ. პირდაპირ ვიღებ ქუდს, რომელიც ცუდად დევს და ჰაიდა...

**გოგო დაზგებიდან:** ეჰ, ისე მწარედ გვცემენ, რომ სჯობს სრულებით აღარ წავიდეთ მაგ ოხერ ლუდხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოთამაშეთაგანი:** როგორ არა, ხანდახან ეგეც გადახდება ხოლმე ჩვენ თავს.

(პაუზა)

**მჭამელი:** ძმებო, ბოლო დროს ეს წითელ ყელსაბამიანები ზორბად ბევრი დადიან, არა?

**ბელადი:** პიონერები? მართალს ამბობ.

**მჭამელი:** ნეტა რას აკეთებენ?

**ბელადი:** ზოგი საყვირით ნიშანს იძლევა—უკრავენ, სხვები დოლზე აბრახუნებენ—სწავლობენ, განა ცოტა რამ არის...

**მშიერი:** ძალიან მწყობრად კი დადიან. სწორად, სწორად. არც მილიციონერების ეშინიათ... ტრამვაი, ისიც კი ჩერდება, როცა ლიანდაგს გადადიან ხოლმე.

**დაზგებიდან:** მეც ამასწინედ დავინახე. ორმოც ბავშვამდის მოდიოდენ. ერთი კი სულ წინ—"ღრიალებდა „მარცხენა, მარჯვენა ეთრი-ორი-სამი!" მერე კი დოლს უბრახუნებდა.

**მჭამელი:** მართლა საინტერესოა ერთი, რისთვის ჩაეწერენ პიონერად? ერთი უნდა ვკითხო, რას აკეთებენ... (პაუზა. ვიღაცა უსტვენს).

**დაზგებიდან:** უუჰ, როგორ აცივდა ბოლო დროს!..

— ჩქარა, ძმავ, სადგურებში მოგვიხდება გადაბარგვა. მატარებლებზე ისე არა ცივა...

**ბელადი:** მე უნდა კოჭლ ტოტასთან წავიდე... ხალხს აგროვებს აჟეჯზე სამუშაოდ... თორემ გავიყინები.

**დაზგებიდან:** ვაი დედა, თამბაქო ხომ არავის აქვს?

— რა მოწყენილობაა.

**მჭამელი:** რა იქნება ბიჭებო, ერთი ჩვენი სიმღერა რომ დავსძახოთ.

**ბელადი:** დიაღ იმღერო!.. ისეთას აგამღერებენ მილიციონერები რომ...

**დაზგებიდან:** ეჰ, შენ ერთი, ლაპარაკობ. ჩუმად ვიმღერებთ არავის გავაგონებთ.

— მართლა მოდი დავსძახოთ რამე ისეთი გულის მოსაფხანი.

**ბელადი:** კარგი, დაიწყეთ.

**დაზგებიდან:** ჰეი, თქვენ ბიჭებო დაგვეხმარეთ.

**პირველი ხმა:** (იწყებს რამ სიმღერას, რომელიც გამოხატავს. იუმორისტულად უპატრონოების მდგომარეობას. ყველანი ბანს უბნებიან.

(მარჯვნივ კულისებიდან შემორბის ბიჭუნია, ძლივს სუნთქავს. შეშინებულია. გავარდება სცენის შუა გულში. სიმღერას აწყვეტინებს. ყვირის).

**ბიჭუნია:** ძმებო!.. ჩუმად!.. მილიციონერები მოდიან!..

(პანიკა)

**ხმები**—ჩუ!..

— მილიციონერები!..

— ბანქო დამალე!

— ჩააქრეთ!..

— ჩააქრე, შე წყეულო!..

— ბაბო, ძონძები შეახვიე!

**ბელადი:** დაიმალეთ! დაიმალეთ!.. (ბავშვები იმალებიან დაზგის ქვეშ, დაზგების უკან, ავანსცენაზე და ფარდაში. სრული სიჩუმე. სცენა ცარიელდება. მარჯვნივ კულისებიდან შემოდიან: თამარ და სერგო. ათვალიერებენ იქაურობას.)

**თამარ:** სერგო! ეს სად შემოვედით?! როგორა ბნელაა... აქედან სინათლე სჩანდა და ახლა კი გაქრა...

**სერგო:** არც მე ვიცი, სად ვართ.

**თამარ:** რა სიცარიელეა,.. არავინ არ არის...

**ავანსცენიდან:** ვანო, ერთი გაჰხედე. ბავშვებია.

**ვანო:** დაგწყევლოს ეშმაკმა... პიონერებია!..

(ამ დროს დაზგის ქვეშიდან გაისმის გატეხილ ბოთლის ჩხარუნი. სერგო და თამარ განცვიფრებით ერთმანეთს შესცქერიან. ყურს უგდებენ).

**თამარ:** სერგო, აქ ვიღაცა უნდა იყოს...

**სერგო:** (გაბედულად გამოდის სცენის შუაგულში) ჰეი! ვინ არის მანდ? გამოდი...

(დაზგების ქვეშიდან ისმის სტვენა. ყოველ მხრიდან გამორბიან ბავშვები და ეხვევიან პიონერებს. ათვალიერებენ ერთმანეთს. ბოლოს სერგო დაარღვევს სიჩუმეს).

**სერგო:** თქვენ ვინა ხართ?

**ბელადი:** ჩვენ? ჰმ—ჩვენ... არავინ, ჩვენ საზოგადოდ უპატრონონი. თქვენ?

**თამარ:** ჩვენ—პიონერები.

**ხმა:** პიონერები, ჰა! დახეთ! ეს ეს იყო, ამ წუთში თქვენზე ვლაპარაკობდით.

**სერგო:** რას ლაპარაკობდით ჩვენზე?

**ხმა:** ჩვენ ძალიან გვინდა ვიცოდეთ, რას აკეთებთ თქვენ პიონერები?

**სერგო:** თუ გინდათ, მერე რა გიშლით... ჩვენ გიამბობთ...

**ხმები:**—მართლა?

— აი ეს კარგია...

— მიხა, აანთე სანთელი.

**სერგო:** აი ეს კარგია: სანთელი კოცონის მაგიერობას გაგვიწევს... აბა, ახლა მოგვისმინეთ, რას ვაკეთებთ პიონერები. ილიჩის გზა და შრომა ყველაფერს დასძლევს. ვსწავლობთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ კომუნაში, რომ ყველა საერთო საქმისთვის მუშაობდეს.

**მეთაური:** დაიცა... ილიჩი? იცი რა, გვიამბე, ილიჩის შესახებ რიგიანად, თორემ ბევრი რამ გაგვიგონია იმაზე, მაგრამ დანამდვილებით კი არაფერი ვიცით.

**თამარ:** კარგი. მე გიამბობთ. ყური დამიგდეთ... ლენინი ჩვენი პაპაა, ლენინი,—ეს ისეთი კაცია, რომელმაც ასწავლა ხალხს, როგორ უნდა განთავისუფლდეს მონობისაგან. ლენინი უყვარს მთელს მსოფლიოს მშრომელ ხალხს. ლენინს ძალიან უყვარდა მუშები, მშიერი და უსახლკარო ბავშები და მთელ თავის სიცოცხლეში იბრძოდა იმისთვის, რომ იმათ კარგად ეცხოვრათ.

**სერგო:** და აი რვა წლის წინად შეიარაღებულმა მუშებმა, ლენინის პარტიის, ბოლშევიკების, ხელმძღვანელობით, გარეკეს რუსეთიდან ყველა მდიდრები და მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის საქმეებს თვითონ მუშები განაგებენ.

**თამარ:** დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი პაპა... მასწავლებელი... ილიჩი... გარდიცვალა ..

**ხმები:** ეს... ეს ჩვენ გაგვიგონია.,. ვიცით.

— მაშ ახლა როგორღა მოქმედობთ?..

— უიმისოდ...

**სერგო:** მან დაგვიტოვა თავის პარტია, რომელიც იბრძვის გაატაროს ცხოვრებაში ილიჩის ანდერძი...

**თამარ:** ჩვენ, პიონერებმა, ფიცი დავდეთ მთელი სიცოცხლე ვიაროთ ილიჩის გზით. აი რას ვაკეთებთ ჩვენ პიონერები.

(პაუზა).

**ბელადი:** (მკვახედ) დიახ. . თქვენ რა გიშავთ... იფ... შეგკრიბეს... ჩაგაცვეს... დაგახურეს... წითელი ყელსახვევი მოგართვეს... და ჩვენ კი—უკუდო ძაღლებივით...

**სერგო:** რაო?

**ბელადი:** ისე არაფერი... მერე კი ამბობენ—უპატრონოები! ხანდახან როცა დაინახავ თქვენსავით წითელ ყელსახვევით გამოწყობილს, ისე გინდა ჩასცხო ერთი ცხვირპირში.

**სერგო:** რისთვის?

**ბელადი:** იმიტომ რომ შენ გიყურებენ, როგორც პიონერს, გიცინიან, გეხალისებიან, მე კი როგორც ავაზაკს...

**ხმა:** (ნელი, გაუბედავად) იცით რა... ყმაწვილო... ვოქვათ რომელიმე ჩვენგანმა უპატრონომ, მოინდომოს პიონერად შესვლა .. შეიძლება?.. მიგვიღებენ თუ არა?

**სერგო:** შეიძლება, ამხანაგებო, და ძალიან კარგადაც შეიძლება! აი, ჩქარა ჩვენ, კომკავშირელებს, კომუნისტებს და საერთოდ ყველა მუშებსა და გლეხებს დიდი დღესასწაული გვექნება—ოქტომბრის მერვე წლისთავი. იმ დღეს ილიჩის გზის მიმდევრებს ბევრი მიემატება ღარიბი და მშრომელი ხალხი... მაშინ თქვენც მოდით ჩვენთან და მიგიღებთ.., დიდი სიამოვნებით მიგიღებთ. ცოტა დაიცადეთ, ყმაწვილებო, და ყველანი პიონერებად გახდებით. ჩვენ ორივენი პიონერების სახელით პირობას გაძლევთ, რომ მთელი ჩვენი ძალღონით დაგეხმარებით;, თქვენ მოდით ჩვენთან, უსათუოდ მიგიღებთ.

**ბელადი:** მართლა?

**სერგო:**—რასაკვირველია!

**ყველანი:** მიგვიღებთ?

**სერგო:** ცხადია!

**ბელადი:** ყმაწვილებო, გაუმარჯოს ილიჩის გზით მოსიარულე ნორჩ ამხანაგებს.

**ყველანი:** ვაშაა!..

**ბელადი:** სიხარულის ნიშნათ—შემოსძახეთ სიმღერა.

(მღერიან შესაფერ მხიარულ სიმღერას).

(სიმღერის გათავებისას სინათლე თანდათან კლებულობს და რომ გაათავებენ, სრულიად ჩაქრება. სიბნელეში ისმის ხმები.)

**თამარ:** აბა, ამხანაგებო, მოგვისმინეთ, რა გვითხრეს ჩვენ უპატრონო ბავშებმა!

**სერგო:** ისინი მოითხოვენ ჩვენგან შველას, და ჩვენ, პიონერები, პროლეტარულ ბავშების მოწინავე რაზმი, უნდა დავეხმაროთ მათ.

**თამარ:** მთელი ჩვენ ძალღონით უნდა დავეხმაროთ უპატრონო ბავშებს.

(ღურჯი სინათლე. სცენაზე სდგას მანქანა).

**სერგო:** აბა, თამრიკო, ჩაჯექი.

**თამარ:** სად გავფრინდებით?

**სერო:** სადაც წაგვიყვანს იქ გავფრინდებით. ახლა სხვა გზა აღარ არის.

(სხდებიან)

**სერგო:** აჰა, მოვაბრუნოთ ბორბალი და გავსწიოთ.

(რასუნი, ხმაურობა, სტვენა, მარბენალი ცეცხლები, მანქანა ადის ზევით).

**თამარ:** სერგო... გაიხედე.. რა მოსჩანს იქით.. რაღაც ოთხკუთხედებია.

**სერგო:** ეს, თამრო, ყანებია... ანეულები.

**თამარ:** აჰ რა სწორეა... ლამაზი .. შეხედე, ტყეები... სოფლები...

**სერგო:** ფრთხილად. თამრიკო, ძირს ვეშვებით..

(მანქანა ეშვება ძირს)

**სერგო:** ადექ! გამოდი—სადგურია!

**თამარ:** გესმის, სერგო, სადღაც ჰარმონი უკრავს... სიმღერაა...

(სცენის გარედან შორიდან ისმის სიმღერა).

**სერგო:** წავიდეთ იქ.

**თამარ:** წავიდეთ...

(მიდიან.)

სანთელი ქრება. სიბნელეში 10—15 წუთი სიბნელეა.

ტფილისი

სურათი მე-

## სოფელში

**მონაწილეობენ**

1. სერგო
2. თამრო
3. მიხა
4. ანტონა
5. სტეპკო
6. სიკო
7. სოფლის ახალგაზრდა ბიჭები გოგოები (8—10 კაცი)

თეთრი სინათლეა. დაზგებზე სხედან ბიჭები, გოგოები და ბავშვები, ერთი ბიჭი ჰარმონს უკრავს. მეორე ბიჭი დაიწყებს სიმღერას, დანარჩენები ყველანი მიჰყვებიან.

(სიმღერა ცეკვა-თამაში)

**ხმები:** ჰეი, ყმაწვილებო, გავსწიოთ სოფლისაკენ.

— გავსწიოთ, გლეხები გავაღვიძოთ.

— წავიდეთ, ძმებო ძალუა სოფიოსთან. ვასო ახალ ოინს აჩვენებს.

— წავიდეთ! ოჰოო!

(გოგო-ბიჭები სიმღერით მიდიან სცენიდან. კულისებიდან დიდხანს ისმის იმათი სიმღერა და ჰარმონის ხმა. სცენაზე მხოლოდ რამდენიმე ბავში რჩება).

**მიხა:** ეჰ, ბიჭებო, იცით, ვასო ქალაქიდან ჩამოვიდა და ისე ყოჩაღად ცეკვობს რო...

**ანტონა:** ვასო ძალიან ბიჭია, გოგოები სულ გიჟდებიან მისთვის.

**სტეპკო:** მე ამას წინედ ორშაურიანი მაჩუქა·

**მიხა:** მერე რა უყავი?

**სტეპკო:** პაპიროსები ვიყიდე კოოპერატივში, კვირისათვის ვინახავ. როცა მარტო ვარ არ ვსწევ, მაგრამ ბიჭებში რომ გავერევი, დასანახავათ ვსწევ.

**ანტონა**. დახე ერთი ამას, აქიმიანთ ანიკოს აწონებს თავს...

**სტეპკო:** ანიკოს!.. ძალიან საჭიროა შენი ანიკო, ის აგერ თვრამეტი წლის იქნება და მე თხუთმეტისაც არა ვარ ჯერ.

**ანტონა:** ეს არაფერს არ ნიშნავს!

**სიკო:** ეჰ, ბიჭებო, ჩვენთან გუშინ ლომ ძია იაგორა მოვიდა, ისეთი ღვინო ჩამოიტანა როო...

**ანტონა** შენ დალიე?

**სიკო:** ძიამ ერთი დიდი ჭიქა დამალევინა, აჰა, დალიე, სიკო შვილო.. გემრიელია.

**ანტონ:** ბევრსაკ ნუ ტრაბახობ დიდი არაფერია შენი ღვინო. მამაჩემი იმისთანა არაყს ხდის თვითონ... რაა იმასთან შენი ღვინო...

**მიხა:** (აწყვეტინებს) შეხედეთ ერთი რა ხალხი მოდის...

**სტეპკო:** სად?

**მიხა:** აი, იქით სერზე მოდიან.

**სტეპკო:** აქაურებს არ გვანან.

**სიკო:** საიდან გაჩნდენ?

**მიხა:** დავუძახო?

**სიკო:** დაუძახე!

**მიხა** (ყვირის): ჰეი, თქვენ, შემოუხვიეთ აქეთ!

**სიკო:** ყმაწვილებო, მოდი ერთი კარგად მივტყიპოთ!

**მიხა:** უყურეთ, ესენი ხომ იმათ ჰგავს ზაფხულში ქვედურეთში რომ იყვნენ. რას ეძახდენ იმათ... აი, მოკლე შარვლებიანი რომ დარბოდენ.

**სიკო:** პიონერები.

**მიხა**. ჰო, სწორედ. წითელი მოსახვევები რომ ჰქონდათ ყელზე.

(შემოდიან სერგო და თამრო)

**სერგო:** გამარჯობა, ამხანაგებო, როგორა ხართ?

**მიხა:** არ ვიცით, მოდით ვიჭიდაოთ.

(სიცილი)

**სიკო:** ჩვენ ვიცით, ვიცით, ვინცა ხართ თქვენ.

**თამრო:** ვინ?

**სიკო:** პიონერები.

**სერგო:** საიდან იცით?

**სიკო:** ჩვენთან აქ მეზობელ სოფლად, ქვედურეთში, ზაფხულში ბევრი თქვენისთანები იყვნენ.

**სერგო:** მერე იქ რას აკეთებდენ.

**სიკო:** ბევრ სხვა და სხვა საქმეს. წარმოდგენებს მართავდენ, მუშაობდენ, ორკესტრი ჰქონდათ და უკრავდენ.

**მიხა:** ერთი რაზმიც კი დაარსეს!

**სერგო:** რაზმი?

**მიხა:** ჰო, რაზმი. წითელი ბაირაღი მისცეს, ნიშნები, პერანგებზე მიიკრეს.

**ანტონა:** მე ერთი ნიშანი მაქვს ორ პაპიროსის ნამწვში გამიცვალა სიმონიკამ.

**სერგო:** ახლა რას აკეთებს ის რაზმი?

**მიხა:** როგორ თუ რას?

**სერგო**. ჰო—რას?

**მიხა:** რას და ისე... მუშაობდენ სამხედრო წესზე, გლეხობას ეხმარებოდენ, ახლა ქოხი აიღეს, სამკითხველოს აწყობენ.

**სერგო:** წინამძღოლი ვინ ჰყავთ.

**მიხა:** რა წინამძღოლი?

**სერგო:** უფროსი ვინ ჰყავთ?

**მიხა:** აჰააა! მიტროზე—კომკავშირელზე ამბობს ოჰ, სასაცილოა სწორედ! წავიდენ თუ არა

პიონერები, ბავშვებს წყლის პირისაკენ ერეკებოდა, სულ ჯარის კაცებივით ავარჯიშებდა. ავარჯიშა, ავარჯიშა და ბოლოს კი: წადით, გამშორდით, თქვენი თავი არ მაქვსო, სასაცილო იყო სწორედ.

**სერგო:** ყველაფერი ამით გათავდა?

**მიხა:** მაშ როგორ უნდა გათავებულიყო?

**სერგო:** ჰოო...

(შორით ისმის სიმღერა და ჰარმონი)

**თამარ:** თქვენ, ამხანაგებო, მოგწონდათ, პიონერების ცხოვრება?

**სიკო:** საინტერესო იყო... ხანდახან მოდიოდენ ჩვენთან ღამის მეხრეებთან. ჩვენ და ქვედურეთლებს საძოვარი მინდვრები მეზობლად გვაქვს. დასხდებოდენ კოცონთან და მოგვიყვებოდენ ამბებს. ოჰ, ძალიან ამბებს გვიამბობდენ. სხვადასხვა ქვეყნებზე, მუშებზე, თავიანთ შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ქალაქში...

**თამარ:** თქვენ გინდათ იმათსავით ცხოვრება?

**ანტონა:** ბევრი რამე შეიძლება უნდოდეს კაცს.

**სერგო:** ამხანაგებო, იცით, რომ შეიძლება თქვენც იცხოვროთ, ისე როგორც ისინი ცხოვრობენ. გინდათ.

**მიხა:** დიაღ, შეიძლება?

**სერგო:** პატიოსან სიტყვას გაძლევ, შეიძლება. იცით რა? თქვენ ყველამ თავი მოიყარეთ და მისწერეთ ქალაქში, რომ აი ასე და ასე გვინდა შეკავშირება რაზმში, თქვა. თქვენ ხომ გყავთ კომკავშირელები.

**სიკო:** გვყავს. გესმის ჰარმონის ხმა. ეს მიტრო კომკავშირელი აჭყვიტინებს.

**სერგო:** ეჰ, ცუდად მუშაობენ თქვენი კომკავშირელები, მაგრამ არა უშავს. ჩვენ წავალთ ქალაქში და იქ ვსთხოვთ, ინსტრუქტორი გამოგიგზავნონ.

**მიხა:** გამოგზავნიან-კი?

**სერგო:** გამოგზავნიან. შეიძლება ერთს, მაგრამ გამოგზავნიან უსათუოდ.

**ანტონ:** ნეტავი ბევრი გამოგზავნონ.

**სერგო:** დაიცადეთ. ახლა კომკავშირელებს მრავალი სხვადასხვა საქმე აქვთ. დრო არა აქვთ. ცოტა დაგვაცადეთ, ჩვენ, პიონერები, წამოვიზრდებით, მაშინ ყველა სოფლებს მოვფენთ.

**სიკო:** ყველა სოფლებს... იცი კი, რამდენი სოფელია, ვერც დასთვლი იმდენიაო, ამბობენ.

**სერგო:** მერე შენ იცი, ჩვენ რამდენი ვართ?

**სიკო:** რამდენი?

**სერგო:** ხუთასი ათასი.

**სიკო:** ოჰო!

**მიხა:** ტფილისში?

**თამრო:** არა, მთელ კავშირში, რუსეთში, საქართველოში!

**სიკო:** საოცარია სწორედ! ჩვენ სოფელში კი არც ერთი არ არის!

**სერგო:** არა უშავს, თქვენ სოფელშიაც იქნებიან, დაიცათ ცოტა, ჩქარა ქალაქი მთელ თავის ძალღონეს სოფელს მოახმარს. ახლა თქვენ მხოლოდ ბავშვები ხართ, და ჩქარა კი ოქტომბრის ბავშვებად გადიქცევით, ცოტა დაგვაცადეთ, დრო გავიდეს.

**ანტონ:** აბა, აბა. დაგაცდით, დაიწყეთ, თორემ თქვენ ბევრი გყავთ და ჩვენ კი არც ერთი.

(სიჩუმე. რამოდენიმე ხნის შემდეგ სერგო დგება, დგება თამროც).

**სერგო:** აბა, ამხანაგებო, ახლა მშვიდობით.

**სიკო:** სად მიდიხართ?

**თამრო:** ჩვენ უნდა გავფრ...

**სერგო** (აწყვეტინებს): მეორე სოფელში, ქვედურეთში მივდივართ.

**მიხო:** მშვიდობით.

**სიკო:** გამოგვიგზავნეთ ვინმე ჩქარა!

**სერგო:** უსათუოდ. მანამდის თქვენ მოემზადეთ პიონერობისათვის.

**ანტონ:** კარგი!

(სერგო და თამრო მიდიან, ბავშვები რჩებიან მარტო, ცოტა ხანს სიჩუმეა).

**მიხო:** გაიგე, რა' თქვა, მოემზადეთ პიონერობისათვისო.

**სიკო:** მოემზაე, მოემზადეო და როგორ უნდა მოემზადო კი არ თქვა.

**მიხო:** უთუოდ მოკლე შარვლები უნდა ჩავიცვათ.

**სიკო:** მოკლე შარვალი... მერე საშარვლე სად ვიშოვოთ?

**სტეპკო:** აბა, საქმეც ეგ არის და. (გახარებული) იცით რა, ბიჭებო, მოდით ჩვენი შარვლებისაგან გავიკეთოთ!

**სიკო:** როგორ გავიკეთოთ?

**სტეპკო:** სულ ადვილად, დავგლიჯოთ მუხლამდის ტოტი და ის იქნება...

**ანტონა:** დედა ხომ თავს წაგვგლეჯავს. .

**სტეპკო:** ოჰ, შენც... მოიტათ, ვისაც უნდა წავგლეჯ. და თუ, მაინც და მაინც საჭირო იქნება ტყეში გავიქცეთ, და პიონერებივით ვიცხოვროთ.

**მიხო:** მართლა და რა, მოდით, ასე მოვიქცეთ.

**ანტონ:** მე დედის მეშინია.

**სტეპკო:** რა ეჰ, შენც... პიონერად კი აპირებს შესვლას!

**ანტონ.** ერთი მითხარი, გრძელი შარვლით არ შეიძლება პიონერი გახდე?

**სტეპკო:** მაშ, არ შეიძლება. ხომ დაინახე— მოკლე შარვლები ეცვათ.

**სიკო:** რას ელაპარაკებით, მოდით, ყმაწვილებო, წავგლიჯოთ.

**ანტონა.** წავგლიჯოთ.

(ბავშები ჯდებიან და გლეჯენ ტოტებს შარვლებს).

**მიხო:** რა უნდა ვუყოთ, რომ არ შეიძლება გაგლეჯა.

**სტეპკო:** შენ ჯერ გამოკვნიტე კბილით და მერმე გახიე. აჰა ასე, ხედავ რა სწორედ გადაიხა, ირგვლივ.

**მიხო** პერანგის ამხანაგიც გადავხიო?

**სტეპკო:** არა პერანგის ამხანაგის შესახებ არაფერი ვიცი.

**სიკო:** ეჰ, რატომ იმათ არ ვკითხეთ!

**სტეპკო:** არა უშავს, ჯერ შარვლები გადავხიოთ.

(ბავშები ხევენ შარვლის ტოტებს, რჩებათ მოკლე შარვლის მსგავსი შარვლები, მხოლოდ ქვეშიდან ეფართხუნებათ პერანგის ამხანაგები).

**სტეპკო:** აჰა, ეს დიდებულია.

**ანტონა:** მხოლოდ ეს პერანგის ამხანაგი უშნოდ არის.

**სიკო:** არა უშავს, შიგ გავიხადოთ.

**მიხო:** წავიდეთ, ერთი სოფელზე გავიაროთ.

**სიკო:** წავიდეთ.

**ანტონ:** მოდით ერთი პიონერებივით გავსწიოთ, ბატებივით, მწკრივად

**სტეპკო:** ნამდვილია. დაეწყვეთ, როგორც რიგია. თავიდათავია, რომ კავშირი სჩანდეს.

(ბავშები ეწყობიან ერთ მწკრივად).

**სტეპკო:** მოდით, მე სარდალი ვიქნები. აბა, რაზმო, დადექი—სული გაიკმინდე... წყნარად!.. ერთი-ორი-სამი, დათვალეთ. მარჯვნით! ბიჯი ერთ ადგილას! აბა, სიმღერა, მიხო, დაიწყე! ნაბიჯით გასწით!

**მიხო:** (იწყებს სიმღერას, ყველანი ბანს ეუბნებიან და სიმღერით მიდიან მარჯვენა კულისებში, სინათლე ქრება, სიბნელეში ეშვება მანქანა. სიბნელიდან ისმის ხმები).

**სერგო.** ამხანაგებო, სოფელი გველოდება სამუშაოდ. მეტი ყურადღება სოფელს!

**თამრო:** პიონერო, გასწი სოფლად! შეაკავშირე გლეხების ბავშები!

(ლურჯი სინათლე).

**სერგო:** აბა, თამრო, ჩაჯექი მანქანაში.

**თამრო:** ახლა სადღა წავიდეთ?

**სერგო:** ჩაჯექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

(სტვენა, ხმაური. მანქანა მიფრინავს).

**სერგო:** აბა, გავიხედოთ ერთი. საით მივყევართ.

(იყურება ქვევით) დაიცა... ეს ხომ აზერბაიჯანია, რუსეთი... პოლონეთია... გავსცილდით... გერმანეთი!

**თამრო:** სერგო, ძირს ვეშვებით.

**სერგო:** ძირს, ძირს ვეშვებით!

**თამრო:** სდექ!

**სერგო:** ვაშა, თამრო, გერმანეთში ვართ. ეჰ, ერთი სკაუტი შეგვახვედრა. ერთი ვსცემო მინდა. ჰეი, გამარჯობა, გერმანეთო!

**თამრო:** რა უნდა ვქნათ ახლა? გერმანულად ლაპარაკი არ შეგვიძლია...

**სერგო:** არაფერია, ჩვენ აქ გერმანელ პიონერებს ვიპოვით და კომუნისტურ ენაზე ვილაპარაკებთ მათთან. ეს ხომ საერთო ენაა ყველა ერისათვის.

ფ ა რ დ ა

# მოქმედება მე-II-ე

## სურათი 4.

## გერმანეთში

**მონაწილეობენ:**

| | |
|---|---|
| 1. სერგო | 8. პირველი ფაშისტი |
| 2. თამრო | 9. მეორე ფაშისტი |
| 3. პირველი კომუნისტი | 10. მესამე ფაშისტი |
| 4. მეორე კომუნისტი | 11. მეოთხე ფაშისტი |
| 5. მესამე კომუნისტი | 12. მეხუთე ფაშისტი |
| 6. ფრიც } გერმანელი | 13. მეექვსე ფაშისტი |
| 7. ემმა } პიონერები | 14. პირველი სკაუტი |
| 15. მეორე სკაუტი | |

**ლურჯი სინათლე**

I

სცენა ცარიელია

მარჯვენა კულისებიდან სცენაზე გამოდის მეორე ფაშისტი. გადადის ირიბათ სცენას და ჩერდება ავანსცენაზე მარცხნით, დაზგების ქვეშიდან გამოძვრება პირველი ფაშისტი. მიდის მეორესთან.

**1 ფაშისტი:** მგონია, კომუნისტების კრება აქ არის?

**2 ფაშისტი:** აქ არის. ახლავე უნდა მოიყარონ თავი.

**1 ფაშისტი:** მაშ, დაიმალე!

(მეორე ფაშისტი რამპაზე მიდის მარცხენა კულისებისაკენ წინა მხარეს. პირველი ფაშისტი შუა გზაზე აჩერებს მას).

**პირველი ფაშ.:** შეჩერდი! სკაუტის რაზმი მზად არიის?

**მეორე ფაშ.:** ყველა თავიანთ ადგილას არიან. უკვე შეუდგენ მუშაობას.

**პირ. ფაშ.:** მგონია, მოდიან, დაიმალე!..

(ორივენი გარბიან ავანსცენაზე, იმალებიან ფარდებში, ისე რომ სცენიდან არ ჩანან, მაგრამ მაყურებელი ხალხი კი ხედავს. სცენაზე სცენის უკანა მხარედან დაზგებზე მოდიან პირველი, მეორე და მესამე კომუნისტები და ჩერდებიან ყველაზე მაღალ შუა დაზგაზე).

**პირვ. კომუნისტი:** აქ დამშვიდებით შეგვიძლია ვიყოთ.

**მეორე კომუნ.:** მართალია, აქ ვერავინ ვერ დაგვზვერავს.

**მესამე კომუნ.:** მაშ, ასე ამხანაგებო. საქმე ამნაირად არის. ზეგ ჩვენი ქალაქის მცველი მუშები შეკავშირებულად უნდა გამოვიდენ ქუჩაში და სალამი უნდა გაუგზავნონ რუსეთის მუშებს და რევოლიუციის მერვე წლის თავი უნდა მიულოცოთ. ფაშისტებთან შეტაკება კი უსათუოდ მოგვიხდება, მაგრამ ჩვენ ამას არ უნდა შეუშინდეთ. ჩვენ დავანახვებთ ფაშისტებს, რომ გერმანეთის პროლეტარიატს არც ისე დიდხანს მოუხდებათ ბურჟუაზიის წინაშე ქედის მოხრა. ჩვენ ვაჩვენებთ მათ, რომ ვემზადებით უკანასკნელ ბრძოლისათვის! როგორ არის საქმე იარაღის შესახებ?

**მეორე კომ.** იარაღი არ არის სამყოფი.

**პირ. კომ.:** სად შეიძლება შოვნა?...

**მესამე კომ.:** ორ ადგილას: ქალაქის არსენალში და ფაშისტების შტაბში, მაგრამ...

**პირ. კომ.:** მაშ დღეს მოულოდნელად დავეცეთ არსენალს.

**მეორე კომ.:** ყველა?

**პირ. კომ.:** ჩვენი ყმაწვილები თავიანთ ადგილას არიან?

**მეორე კომ.:** არიან.

**პირ. კომ.:** მაშ წავიდეთ. საღამოს აქ ვიყრით თავს!

(მიდიან ირიბათ მარცხენა კულისებში სცენა ცარიელდება. შემდეგ დაზგების უკან გამოჩნდება ემმას თავი).

**ემმა:** ფრიც!

**ფრიც:** რა იყო?

**ემმა:** გამოძვერი, წავიდენ...

(ფრიცი და ემმა გამოხტებიან სცენაზე).

**ფრიც:** ემმა, პარტიული კომიტეტი დამარცხდება, თუ არ შევატყობინეთ.

**ემმა:** უნდა შევიტყოთ, რას აპირებენ ფაშისტები?

**ფრიც:** წავიდეთ შევიტყოთ. იმათი შტაბი— ფაშისტების ქუჩაზე 22 ნომერშია.

**ემმა:** გავიქცეთ ჩქარა. უნდა დავასწროთ იმათ.

**ფრიც:** ჩვენ ვიდღესასწაულებთ რუსეთის ოქტომბერს... ამ გზობათ ფაშისტები დამარცხდებიან.

(მიდიან მარცხნით კულისებში. დაზგების ქვემიდან სხვადასხვა ადგილებიდან გამოყოფენ თავს სკაუტები. დაინახავენ ერთმანეთს თუ არა შეშინდებიან და იმალებიან. შემდეგ გამოდის მეორე სკაუტი).

**მეორე სკაუტი:** ჰეი!

**პირ. სკაუტი:** რაო?

**მეორე სკაუტი:** გამოძვერი!

(გამოძვრება მეორე სკაუტი, ორივე ფორთხვით მოხოხავენ ავან სცენის შუა ადგილას).

**მეორე სკაუტი:** კომუნისტების შვილები შტაბში წავიდენ. გავიქცეთ ჩქარა, შევატყობინოთ ჩვენებს.

**პირ. სკაუტი:** გავიქცეთ! (ტრაბახით ხალხისაკენ). ჩვენ ვაჩვენებთ იმ წვინტლიან პიონერებს, რომ ფაშისტებს ტყუილად კი არ ჰყავთ სკაუტელების რაზმები, წავიდეთ!

(მიდიან ირიბად მარცხენა კულისებში უკანა მხარეს).

სინათლე ქრება.

(პაუზა 10 წამი).

## II

## წითელი სინათლე

დაზგის უკანა მხარედან გამოდიან ფრიც და ემმა.

**ემმა:** მგონია აქ არის, ფრიც.

**ფრიც:** აქ არის სწორედ... ფაშისტების ქ. 22, ძალიან მოვახერხეთ შემოსვლა, არავის არ შეუმჩნევივართ.

**ემმა:** აბა მოდი, დავიმალოთ.

(იმალებიან შუა დაზგას ქვეშ. სცენაზე მარცხენა მხარეს უკანა კულისებიდან გამოდის პირველი ფაშისტი. უსტვენს. შემოდის კიდევ ოთხი ფაშისტი).

**1 ფაშისტი:** აბა, ყველანი აქა ვართ. საქმე აი როგორ არის. ხვალის მეორე დღეს კომუნისტების პარტიული კომიტეტი ქალაქში არეულობას მოახდენს, იმ მიზნით, რომ თანაგრძნობა გამოუცხადოს რუსეთის ყაჩაღებს. ამისათვის დღეს ისინი არსენალის ხელში ჩაგდებას აპირობენ. ეს საქმე ძალიან სერიოზულია. შეიარაღებული არეულობა თუ მოახერხეს, ეს ისე წააქეზებს მათ, რომ უსათუოდ აჯანყების ტალღაც აგორდება ჩვენ ქვეყანაში და ეს ხომ სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ძვირფასი სამშობლოსა და მთავრობისათვის. ეს ძირშივე უნდა აღიკვეთოს. ჩვენ ვიცით იმათი კრების ადგილი. საღამოს უნდა შეიკრიბონ იქ.

**მეორე ფაშისტი:** მე წინადადებას ვიძლევი დღესვე დავიჭიროთ ქალაქის კომიტეტი.

**მესამე ფაშ.:** გაძლიერებული იქნას არსენალის დაცვის საქმე.

**4 ფაშ.** თავპირი დავამტვრიოთ კომუნისტურ რაზმებს.

**5 ფაშ.:** და ღამე მოვსპოთ ქალაქის კომპარტია.

**1 ფაშისტი:** გეგმა მიღებულია. წინადადებას ვიძლევი, ყველა შეუდგეს დაუყონებლივ იმის სისრულეში მოყვანას.

(კულისების გარეთ ხმები).

**1 ხმა:** რა ამბავია?

**2 ხმა:** მოახსენეთ უფროსს!

**1 ხმა:** არ შეიძლება. უფროსს დრო არა აქვს.

**2 ხმა;** გთხოვთ, ახლავე მოახსენოთ.

**1 ფაშისტი:** (ყვირის) რა ამბავია, რა მოხდა მანდ?!

(სცენაზე გამოდის მეექვსე ფაშისტი).

**6 ფაშისტი:** სკაუტებმა ახალი ამბავი მოიტანეს.

**1 ფაშისტი:** შემოუშვით სკაუტები.

(შემოდიან 1 და 2 სკაუტი).

**1 სკაუტი:** ვბედავ მოგახსენოთ, ბატონო უფროსო, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ გადასწყვეტთ დღეს ყველაფერს გაიგებს კომუნისტების პარტიის კომიტეტი. თქვენ უკვე დაგზვერეს.

**პირ. ფაშ.:** ვინ დაგვზვერა?

**ძირ სკაუტი:** პიონერებმა.

**პირ. ფაშ.:** სად არიან პიონერები?

**მეორე სკაუტი:** აქ!

**პირ ფაშ :** როგორ თუ აქ?

**პირ სკაუტი:** როგორ და ისე. ისინი თვალყურს გადევნებდენ, როდესაც თქვენ კომუნისტების საიდუმლო კრებაზე იყავით. თქვენი ლაპარაკიდან გაიგეს შტაბის მისამართი.

**მეორე სკაუტი:** იმათ თქვენზე უწინ მოირბინეს აქ და შეუმჩნევლად შემოძვრენ ფანჯარაში.

**პირ. ფაშ.:** ამ წამში გაჩხრიკეთ აქაურობა.

(ფაშისტები და სკაუტები გაიფანტებიან სცენაზე. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ეძებენ ჩუმად, შემდეგ დაზგის ქვეშიდან მოისმის პირველი სკაუტის ხმა).

**პირ, სკაუტი:** აქ არიან, მოდით! ნახეთ!

(ფაშისტები მირბიან ძ.ხილზე და რამოდენიმე წუთში გამოათრევენ დაზგის ქვეშიდან ემმას და ფრიცს,)

**მეორე სკაუტი:** აჰა, დაგიჭირეთ თუ არა?

**პირ. ფაშ.:** მოიტათ ბაწარი, მოიტათ სკამები.

(მოაქვთ ბაწარი და ორი სკამი)

**პირ. ფაშ.:** მიაკარით სკამებს.

(ბავშებს ზურგზე ხელებ გაკრულს, მიაკრავენ, სკამებს).

**პირ. სკაუტი:** (ბოროტი სიცილით) რაო, თქვე წვინტლიანებო! მაშ რა გეგონათ! ჯერ ისწავლეთ მუშაობა სკაუტებისგან!

**პირ ფაშ.:** კარგი, კმარა! ესენი აქედან ვერ წავლენ. ახლა საჭიროა თავდასხმის საწინააღმდეგო სამზადისს შეუდგეთ... წავიდეთ.

(ყველანი, ერთი ფაშისტის გარდა, მიდიან. ფაშისტი ათვალიერებს სკამზე მიბმულ ბავშვებს, ნელა მიდის თვითეულთან, ამოწმებს ბაწრებს და ნელა გადის სცენიდან).

**ემმა:** რა უნდა ვქნათ ახლა, ფრიც?

**ფრიც:** (სცდილობს ბაწრის გაწყვეტას) რას იზამ. ბაწარი... ძალიან... მაგარია... ჩვენ წავაგეთ...

(მაღლიდან შრიალი მოისმის)

**ფრიც:** ჩუმად. ვიღაცა მოდის. თავი მოიმძინარე.

(იქედან, საიდანაც სცენაზე ფრიცი და ემმა შემოვიდენ, გამოჩნდება სერგოს თავი. სიფრთხილით აძვრება დაზგაზე და იყურება აქეთ-იქით. სცენის გარედან ისმის თამროს ფრთხილი ხმა).

**თამრო** სერგო, სადა ხარ?

**სერგო:** აქ, შემოდი შენც.

(დაზგაზე ადის თამროც)

**სეროგ:** აქ, როგორღაც საქმე კარგად არ უნდა იყოს. სკაუტები და ის საეჭვო ხალხი ამ სახლიდან გამოვიდენ. რაღაც თეთრგვარდიელების სუნი სდგას.

**თამრო:** სერგო, ნუ თუ ჩვენ ვერავინ შეგვამჩნია?

**სერგო:** ვერა. ვიღაცამ ჩვენ მოსვლამდის ფანჯარა გამოსტეხა.

**თამრო:** მოდი, დავათვალიეროთ ბინა.

**სერგო:** მოდი!

**თამრო:** აქ, მგონია, არავინ არის.

**სერგო:** არა, გაიხედე—აი, იქ, მგონია, ორი სკამი სდგას.

**თამრო:** ჩადი ძირს.

(ჩამოდიან, სიფრთხილით მიდიან სკამებისაკენ და პიონერები ერთმანეთს ამჩნევენ).

**თამრო:** სერგო, ესენი პიონერები არიან ხედავ—წითელი ყელსახვევი!

**ემმა:** ფრიც,—პიონერები.

(სერგო გამოდის სცენის შუაგულზე. სალამს აძლევს, ავიწყდება სიფრთხილე და ყვირის).

**სერგო:** გამარჯობა ამხანაგებო!

**ფრიც:** ჩვენ ვერ მოგცემთ სალამს, რადგანაც ხელები შეკრული გვაქვს, გაგვიხსენით ჩქარა, ქალაქის კომპარტიას ხიფათი მოელის. შემდეგ გიამბობთ.

(შეკრულებს ანთავისუფლებენ. სწრაფად აძლევენ ერთმანეთს სალამს).

**თამრო:** გავიქცეთ ჩქარა, იქნება, ჩვენ შევძლოთ პარტიის დახმარება.

**ფრიც:** იცით რა, ჩვენ თუ ყველა წავედით აქედან, შეიძლება ფაშისტები მოვიდენ და როდესაც დაინახავენ, რომ აქ არავინ არის, ერთ ალიაქოთს ასტეხენ.

**თამრო:** მაშ რა ვქნათ?

**ფრიც:** მიგვაკარით ჩვენ ისევე და თქვენ რაც ძალი და ღონე გაქვთ გაიქეცით პარტკომში.

**თამრო:** არა, ეს არ ივარგებს. ჩვენ გაგვიძნელდება პარტკომის მოძებნა.

**ემმა:** მაშ რა გვეშველება!

**სერგო:** მე მოვიფიქრე! თქვენ პირადად ძალიან კარგათ გიცნობენ?

**ემმა:** არა, ძალიან ცოტა ხნით გვნახეს.

**ფრიც:** ისიც სიბნელეში. აბა?

**სერგო:** მაშ მიგვაკარით ჩვენ და თვითონ კი გასწით და მოაგვარეთ ყველაფერი. ტანისამოსიც ჩვენ თითქმის ერთნაირი გვაქვს.

**ფრიც:** კარგი, მაგრამ ფაშისტები რომ მომოვიდნენ?

**თამრო:** ჩვენ ვისხდებით...

**სერგო:** და ჩუმად ვიქნებით მკვდრებივით.

**ფრიც:** კარგი.

(მიაკრავენ).

**ფრიც:** მზად არის?

**ემმა:** მზად არის!

**ფრიც:** აბა, ჩქარა ნახვამდის, ამხანაგებო. როდესაც მოვალთ-დაუსტვენთ. თქვენი პასუხი სტვენით. ნიშანი იქნება, რომ „მშვიდობაა“.

**სერგო:** კარგი ძალიან, აბა გასწით, ამხანაგებო.

(ფრიც და ემმა მიდიან. სერგო და თამრო რამოდენიმე ხანს ჩუმად არიან).

**სერგო:** აი, თამრო, როგორ მუშაობენ პიონერები გერმანეთში.

სინათლე ქრება.

(პაუზა **10** წუთ.).

III

**ლურჯი სინათლე.**

სცენა ცარიელია.

(ავანსცენაზე, ზევითა დაზგიდან გადმოდის სამი კომუნისტი).

**პირ. კომ.:** ჩვენ ცოტა ადრე მოვედით. მაგრამ არა უშავს, ნეტავი ჩვენი ყმაწვილებისაგან არავითარი ამბავი არ არის?

**მეორე კომ.:** არა.

**პირ. კომ.:** მზვერავები ხომ არავის შეუნიშნავს.

**მესამე კომ.:** არა.

**პირ. კომ.:** მაშ საშიში არაფერია და შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ.

**მესამე კომ.:** მე წინადადებას ვიძლევი წავიდეთ და მუშები მოვამზადოთ იარაღის საწყობზე თავდასასხმად.

**პირ. კომ.:** დილით მოცემული დირექტივები შესრულებულია?

**მეორე კომ.:** შესრულებულია.

**პირ. კომ.** აბა მივდივართ!

(სცენის გარედან ისმის კაკუნი).

**პირ. კომ.:** რა ამბავია იქ?

**მეორე კომ.:** (მირბის სცენიდან და სცენის გარედან) ყმაწვილები მოვიდნენ.

**პირ. კომ.:** პიონერები?

**მეორე კომ :** პიონერები.

**პირ. კომ.:** შემოუშვით.

(შემოდიან ფრიც, ემმა და მეორე კომუნისტი).

**პირ. კომ.:** რა ამბავია?

**მეორე კომ.:** ოქტომბრის დღესასწაული შეიძლება დამარცხებით გათავდეს. მთელი ჩვენი გეგმა შეუტყვიათ ფაშისტებს. არსენალი უკვე ემზადება თავდაცვისათვის. ჩვენ დავმარცხდებით. ფაშისტები ემზადებიან საწინააღმდეგოდ და პარტიის გასანიავებლად.

**პირ. კომ.:** ოჰ, წყეულები! რა უნდა ვქნათ? თქვენ საიდან მოდით?

**ფრიც:** ჩვენ შევიპარეთ ფაშისტების შტაბში, მაგრამ დაგვზვერეს სკაუტებმა და დაგვიჭირეს, რუსეთის პიონერებმა გვიხსნეს.

**მეორე კომ.:** რუსეთის პიონერებმა?

**მესამე კომ :** რუსეთის პიონერებმა?

**ფრიც :** დიახ რუსეთის პიონერებმა...

**პირ. კომ.:** დაიცათ! ლაპარაკის დრო არ არის, თქვენ ამბობთ, რომ ფაშისტების შტაბში იყავით. იცით სად არის?

**ფრიც:** ვიცით.

**პირ. კომ.:** აჰა. ერთი რამ მოვიფიქრე... საქმე...

**ფრიც:** (აწყვეტინებს): ამხანაგებო, ახლავე აქედან უნდა გავიქცეთ, თორემ შესაძლებელია აქ ფაშისტები შემოგვეცვივდენ და დაგვიჭირონ.

**პირ. კომ.:** მართალია. წავიდეთ. გზაში გიამბობთ...

(ყველანი აჩქარებით მიდიან მარჯვენა კულისებში. სცენა ცარიელია, ცოტა ხნის შემდეგ ზევითა დაზგაზე გამოჩნდება ნიღაბიანი პირველი და მეორე ფაშისტი).

**პირ. ფაშისტი:** აქ?

**მეორე ფაშისტი:** აქ.

(გადმოხტებიან ძირს. პირველი ფაშისტი უსტვენს. შემოდის კიდევ ხუთი ფაშისტი).

**პირ. ფაშისტი:** ჩაესაფრეთ. საცაა თავს მოიყრიან.

(მიძვიან იქით აქეთ და იმალებიან სცენაზე სხვა და სხვა ადგილას, პაუზა. ცოტა ხანს სიჩუმე, რამოდენიმე წუთის შემდეგ ფაშისტები გამოდიან საფრებიდან. ერთმანეთს ათვალიერებენ).

**პირ. ფაშისტი:** დაიმალეთ, დაიმალეთ...

(ფაშისტები გარბიან, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოდიან).

**პირ. ფაშისტი:** (ეტქირდება ყველას): დაიმალეთ, დაიმალეთ!

(ფაშისტები ისევ იმალებიან თავიანთ ადგილას).

სინათლე ნელა ქრება.

საჩუმე. ბნელა 10 წუთის განმავლობაში.

## IV

### წითელი სინათლე

(სცენაზე მიგრული თამრო და სერგო).

**სერგო:** აი, თამრო, ჩვენც მუშაობაში ჩავებით.

**თამრო:** ძალიან საინტერესოა აქ, სერგო.

**სერგო:** მივალთ შინ და ისეთ მიახსენებას ჩავაბულბულებთ! ვუამბობთ როგორ მუშაობენ პიონერები გერმანიაში. (სტვენა).

**სერგო:** დაიცა! სტვენა. მოდიან.

(საპასუხო სტვენა).

(ზევით დაზგიდან გადმოდიან სცენაზე ფრიც, ემმა და სამი კომუნისტი, გადმოხტებიან ძირს და მიირბენენ მიგრულების გასანთავისუფლებლად).

**პირ. კომ.** (ამხანაგებს): აბა მოდით, დაათვალიერეთ ბინა, ყარაულები თუ არიან, ფრთხილად მოხსენით (თამროს და სერგოს): თქვენ აქ როგორ მოხვედით ყმაწვილებო?

**თამრო:** პირდაპირ მოვფრინდით!

**სერგო:** ვხედავთ, რომ ამ სახლიდან სკაუტელები გამოვიდენ, მათ კიდევ რაღაც საეჭვო ხალხი გამოჰყვა. ეს კი, ვფიქრობ, რაღაც თეთრგვარდიელთა ბინას ჰგავს მეთქი. შემოვედით აქ და ეს ამხანაგები კი ვნახეთ.

(შემოდის ორი კომუნისტი).

**პირვ. კომუნისტი:** აბა?

**მესამე კომ.:** მზად არის.

**პირ. კომ.:** მაშ, აი ასე, მეგობრებო, ჩემი გეგმა შემდეგია. აქ ფაშისტების შტაბია. ჩვენ ვიცით რომ იარაღი არსენალში და შტაბებში ინახება... გაიგეთ. თუ აქ ამოვაჩინეთ იარაღი, მაშინ აჯანყებას ოქტომბრის აღსანიშნავად დანიშნულ დღისათვის ნუ კი გადავდებთ, დღესვე მოვახდინოთ, ჩავიგდოთ ძალა უფლება ხელში და შევატყობინოთ ამის შესახებ მთელ გერმანიას და რუსეთს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მეტი ძალა გვაქვს ვიდრე ფაშისტებს ჰგონიათ. მხოლოდ საჭიროა სწრაფი მოქმედება, ფაშისტები ჩვენ გამოსვლას ზეგისათვის ელიან. ჩვენკი დავასწროთ. გეგმა მისაღებია? (საერთო თანხმობა).

**მეორე კომუნ.:** გავჩხრიკოთ ბინა!

(კომუნისტები სწრაფად შეუდგებიან ბინის ჩხრეკას, სერგოს ხმა დიდი დაზგის ქვეშ).

**სერგო:** ვაშა! მოდით! აქ არის იარაღი! პატრონები!

(ყველა მიცვივდება და გამოათრევენ თოფებს და პატრონებს ყუთებით).

**მეორე კომუნ.:** კომიტეტში უნდა დაურეკოთ.

**პირ კომუნ.:** (ადის ზევითა დაზგაზე რეკს) 2. ო. ბ. დიალ. მადლობელი ვარ... გელაპარაკებათ პარტიის ქალაქის კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭოები... დაუყონებლივ გამოგზავნეთ სატვირთე მანქანა. მისამართი, ფაშისტების ქ. 22. ხელში ჩავიგდეთ ფაშისტების შტაბი. არის. გელოდებით. (სცენაზე) მცველების საქმე როგორ არის.

**მესამე კომ.:** მოხსნილია!

**პირვ კომ.:** გაიტანეთ იარაღი კარებში.

(გააქვთ იარაღი).

სინათლე ქრება

სიბნელე ათი წუთის განმავლობაში.

## V

### ლურჯი სინათლე

(სცენაზე ფაშისტების ჩასაფრებული).

**პირ. ფაშ.:** ჰეი არ დაიძინოთ!

(ფაშისტები გამოძვრებიან)

**მეორე ფაშ.:** რა ამბავია რომ იგვიანებენ?

**პირ. ფაშ.:** იჯექით, იჯექით!

(ფაშისტები იმალებიან).

(პაუზა)

(ისევ ის სცენა მეორდება კიდევ. მას შემდეგ რადენსაც ფაშისტები მეორედ დაიმალებიან თავ-თავიანთ ადგილს. პაუზის შემდეგ სცენის გარეთ ისმის მარსელიოზის სიმღერა. ფაშისტები გაკვირვებულნი გამოხტებიან სცენის შუა ადგილას. ყურს უგდებენ).

**პირ. ფაშ.:** რა ამბავია?

**მეორე ფაშ :** მარსელიოზა.

**პირ. ფაშ.:** ვინ უნდა იყოს?

(სცენის გარედ ისმის რამოდენიმეჯერ თოფის სროლა).

**პირ. ფაშ :** თოფის სროლაა!

**მეოთხე ფაშ.:** ნეტავი რა ამბავია?

**პირ. ფაშ :** ეს ხომ გაფიცვაა!

**მეორე ფაშ.:** აჯანყებაა!

**მეს. ფაშ.:** რევოლიუცია.

(სროლა ახლოვდება. ფაშისტები შიშით თავზარდაცემულნი დაძრწიან სცენაზე).

**მეორე ფაშ.:** გაიქეცით, ჩქარა!

**პირ. ფაშ.:** თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!

(ფაშისტები გარბიან უოგედ მხარეს დაზგებზე ზევით დაზგაზე შემორბიან კომუნისტები. ხელში თოფები უჭირავთ. გადმოხტებიან ძირს).

**პირ. კომ.:** ძალაუფლება ქალაქში ჩვენ ხელშია! უნდა მოისპოს გაქცეული ფაშისტების ბანდები... სად არიან ჩასაფრებულნი!

**მეორე კომ.:** ესეც არის გაიქცენ.

**პირ. კომ.:** ჩქარა დაეწიეთ!

(მირბიან. სცენაზე გამოხტებიან სკაუტები, უკან მოსდევს ფრიც, ემმა, თამრო და სერგო. სკაუტებს იჭერენ, ანარცხე ენ იატაკზე და ჭკრავენ).

**ფრიც:** რაო, თქვენს აზიზლრებო! აი, როგორ მუშაობენ პიონერები! აბა ბიჯით მარ!

(და თამროს მიჰყავთ ხელებ-გაკრული სკაუტები. სცენაზე მარტო სერგო რჩება).

**სერგო** (ყვირის): თამრო!

**თამრო** (სცენინ გარეთ): ა —უ!

**სერგო:** მოდი აქ ჩქარა?

(შემოდის თამრო).

**თამრო:** რა იყო?

**სერგო:** აბა, თამრო, აქ საქმე უკვე გაკეთებულია. გავფრინდეთ!

**თამრო:** იცი რა, სერგო, მოდი, დავრჩეთ აქ.

**სერგო:** რაო? მოხსენება?

**თამრო:** ეჰ, რა მენანება აქაურობა... რა გაეწყობა, გავფრინდეთ.

სინათლე ქრება.

(სიბნელეში ეშვება მანქანა)

**სერგო** (სიბნელიდან): ამხანაგებო, გაუმარჯოს ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს გერმანეთში.

**ლურჯი სინათლე**

(სერგო და თამრო სხდებიან მანქანაში)

(გრუხუნი, ხმაურობა, სტვენა, მარბენალი ცეცხლები)

**თამრო:** სერგო, საით მივფრინავთ?

**სერგო:** ახლავე ვნახავთ... უყურე. ძირს რაღაც ბაღებია.

**თამრო:** ხედავ, რაღაც ტბები მოსჩანს... რა ლამაზია!..

**სერგო:** შეხედე, შეხედე, რა სასახლეებია!.. დაიცა, თამრიკო, ჩვენ კაპიტალის სამეფოში მოვფრინდით.

**თამრო:** უყურე, ძირს ვეშვებით.

**სერგო:** უფრო და უფრო ძირს... გაჩერდა?

(მანქანა ეშვება ძირს)

**სერგო:** გამოდი, თამრო!

**თამრო:** მერე სად წავიდეთ?

**სერგო:** წავიდეთ პირდაპირ, ვნახოთ ერთი, რით სუნთქავს და რით სულდგმულობს კაპიტალი.

(მიდიან)

სინათლე ქრება.

ბნელა 15 წუთის განმავლობაში

სურათი 5

## კაპიტალის სამეფოში

**მონაწილეობენ**

| | |
|---|---|
| 1. კაპიტალი | 7. მსახურები |
| 2. მოხელე | 8. მეგაზეთეები |
| 3. კაცობრიობის განმანადგურ. კომ-ტ. | 9. მოცეკვავენი. |
| 4. პირველი ზოლებიანი პალტო | 10. მუშები |
| 5. მეორე | 11. სერგო |
| 6. ფაშისტები | 12. თამრო |

**თანდათან ნათდება წითლად.**

ყველაზე უმაღლეს დაზგაზე ზის კაპიტალი. მასთან ახლოს მისი მოხელე. კაპიტალის ორივე მხარეს დაზგებზე კუ-კუკს-კლანის ტანისამოსში გამოწყობილნი დგანან ფაშისტები. კაპიტალის მარჯვენა მხარეს დაზგაზე სდგას მსახურების პირველი ჯგუფი, ავანსცენაზე მარჯვნივ და მარცხნივ მსახურების მეორე და მესამე ჯგუფები ცამცირებული შესახედობით.

მუსიკა უკრავს ტანგოს.

შუა სცენაზე ცეკვით ვამოდის ორი წყვილი. მსახურების სამივე ჯგუფი მუსიკის ტაქტზე ძლივს შესამჩნევად ქანაობენ. უძრავად რჩება მხოლოდ კაპიტალი, მოხელე და ფაშისტების რაზმები. 30—40 ტაქტის განმავლობაში სიჩუმეა.

**მოხელე:** ოო, ყოვლის შემძლებელო მბრძანებელო ქვეყნისავ, კაპიტალო, მფლობელიო მთელ დედამიწაზე მცხოვრები ხალხისა, რომელიც შეადგენს შენსა და შენი ოქროს საკუთრებას! საკმაოა, თუ შენი ნებაა, გაიქნიო თითი, რომ მოვსპოთ მთელი ქვეყნიერება, ოჰ, კაპიტალო!

(სიჩუმე. მუსიკა, ცეკვა, რომელიც გრძელდება შემდეგ რეპლიკების დროსაც)

**ხმა მეორე ჯგუფ.:** გვიბრძანე, რა გნებავს, ო, კაპიტალო!

**ხმა მესამე ჯგუფ.:** გვიბრძანე, რა გნებავს, ო, კაპიტალო, (მუსიკა, ცეკვა)

**კაპიტალი:** მე მსურს, მე მწყურია ოქრო.

**ყველა:** ოქრო! ოქრო!

**მეორე ჯგუფიდან:** (წრიპინით) ი-ი-ი-ი-ი!..

**ყველა:** ხა-ხა-ხა-ხა-ხა.

(მუსიკა, ცეკვა)

**ხმა მეორე ჯგუფ.:** ოქროს საშოვრად საჭიროა ომი გამოეცხადოს მთელ ქვეყნიერებას.

(მუსიკა, ცეკვა)

**მოხელე:** გაიგონე, მბრძანებელო, რომ ოქროს საშოვრად საჭიროა ომი გამოეცხადოს მთელ ქვეყნიერებასო?

(მოცეკვავეები გადიან. მუსიკა სწყდება)

**კაპიტალი:** გაანადგურეთ ყველაფერი, მხოლოდ ოქრო კი იშოვეთ!

(სცენა ივსება მსახურების მხეცური სიხარულის დმუილით).

**მოხელე:** შეგვიძლია, ჩვენ დავამარცხოთ მთელი ქვეყნიერება?

**კაპიტალი:** ჰკითხეთ იმის შესახებ კაცობრიობის განმანადგურებელ კომიტეტს.

**ხმა წრიპინით:** კაცობრიობის განმანადგურებელ კომიტეტს!

**ჩახრინწიანებული ხმა:** კაცობრიობის განმანადგურებელ კომიტეტს!

(სცენის გარედან ისმის, რკინის იარაღის რიტმიული ჩხარუნით, სამხედრო მუსიკა. სცენაზე მარჯვენა კულისიდან გამოდის კაცობრიობის განმანადგურებელი კომიტეტის წევრი. მიდის შუა სცენაზე, უცებ მოტრიალდება კაპიტალისაკენ, მიდის მის საფეხურამდე და გაჩერდება, სახეს მაყურებლებისაკენ მიაპყრობს. მსახურების ყველა სამივე ჯგუფი, რიტმიული მოძრაობით მუსიკის ხმაზე, მიხოხავენ ფოფხვით და კაპიტალის ირგვლივ სწორ ოთხკუთხედს გამოსახავენ. ყველაფერი წყნარდება).

**კაპიტალი:** რა გააკეთა კომიტეტმა კაცობრიობის ამოწყვეტის შესახებ?

**კაც. გამანად. კომ. წევრი:** კომიტეტმა გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც მას ჰქონდა დავალებული! კომიტეტს აქვს უხილავი სხივები, რომელსაც შეუძლია 24 საათის განმავლობაში მოსპოს მთელი ქვეყნიერება.

**ყველა:** ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

(დუმილი)

**კაც, განმანად. კომ. წევრი:** ჩვენ გამოვიგონეთ ისეთი ყუმბარა, რომლითაც შეგვიძლია მთელ ქვეყნივრებას სხვადასხა სენი შევყაროთ. მთელი კაცობრიობა იარებით და ჩირქით დაიფარება და სიცოცხლეშივე ტანჯული დალპება, თუ ეს საჭირო იქნება შენთვის კაპიტალო.

**ყველა:** ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

(დუმილი)

(ისევ ისმის რკინის ჩხარუნი, სამხედრო მუსიკა. კაცობრიობის გამანადგურ. კომიტეტის წევრი ისევ იმ გზით გადის სცენიდან. მუსიკა წყნარდება. მოლოდინი. სიჩუმე).

**მოხელე:** რას ბრძანებ შენ კაპიტალო?

**კაპიტალი:** მე! ვუცხადებ! ომს! მთელ ქვეყნიერებას!

(ასტუდება დმუილი, სტვენა, წკმუტუნი, მეორე და მესამე ჯგუფი მირბის მარჯვენა მხარეს, უერთდებიან პირველ ჯგუფს, ყველა სამივე ჯგუფი იფანტება სცენაზე და ტალღასავით გადაესხმიან მარცხენა კულისეში. მარჯვენა და მარცხენა კულისებიდან გამორბიან მეგაზეთეები, ვადარბიან სცენაზე და გადარბენის დროს ყვირიან)

**პირ. მეგაზეთე:** გაზეთი „გაყვლიფე“! მისი უდიდებულესობა კაპიტალი ომს უცხადებს მთელ ქვეყნიერობას.

**მეორე მეგაზ.:** გაზეთი „წაახრჩვე“! ახალი მსოფლიო ომი!

**მესამე მეგაზ.:** ჯერ გაუგონარი სამამულიშვილო ომი! ყველა მამულის დასაცავად!

**მეოთხე მეგაზ.:** ახალი მსოფლიო ომი!

**მეხუთე მეგაზ.:** ქიმიური საჰაერო ჯარი გადაფრინდა დასავლეთით! სამხედრო მოქმედების დაწყება!

(სამხედრო მუსიკა. დაზგებიდან გადაჯაჭვულნი ჩამოდიან ფაშისტები და მიდიან მარჯვნივ და მარცხნივ კულისებში. სცენის პირველ ნაწილის კულისებიდან გამოდიან ორი უჯრედ-პალტოიანი კაცი და ირიბათ მიდიან კაპიტალის დაზგის საფეხურთან.

**პირველი:** მუშებს არ სურთ საომრად წასვლა!

**მეორე:** მუშებმა ქარხნებში შეაჩერეს მუშაობა.

**კაპიტალი:** გასწყვიტეთ მუშები გაზით!

**პირველი:** მუშები აღარ აკეთებენ გაზებს!

**კაპიტალი:** დასწვით მუშები სხივებით.

(სცენაზე გადარბიან მეგაზეთეები.)

**პირველი მეგაზ.** ქარხნებში და ფაბრიკებში მუშებმა შეაჩერეს მუშაობა ომის წინაალმდეგ პროტესტის ნიშნად!

**მეორე მეგაზ.:** გაფიცულთა მოძრაობა იზრდება. სამშობლო განსაცდელშია!

**მესამე მეგაზ.:** სისხლივით წითელი დროშები ჩამოწვა ცის ტატნობზე! რევოლიუცია დაიწყო!

**მეოთხე მეგაზ.:** რევოლუცია!.. რევოლუცია!.. რევოლიუცია!..

**კაპიტალი:** დამიძახეთ ახლავე კომიტეტს!

(უჯრედიანი პალტოები უსტვენენ. სამხედრო მუსიკა. გამოდიან ფაშისტები, ეწყობიან ორ რაზმად კაპიტალის წინაშე).

**კაპიტალი:** დაუყონებლივ იქნას გაგზავნილი ქალაქის ყველა უბნებში ძალდამტანებელი კომიტეტი ხალხის დასაწყნარებლად.

(უჯრედიანი პალტოები უსტვენენ. ფაშისტები გადიან კულისებში. უჯრედიანი პალტოები მიჰყვებიან მათ. სცენა ცოტა ხანს ცარიელია. შემდეგ მარჯვენა კულისიდან გამოვარდება მუშა, მას მოსდევს დასაჭერად ორი ფაშისტი. მუშა შეხტება კაპიტალის დაზგაზე, ისევ გადმოხტება ძირს. მარცხენა კულისიდან გამორბის ორი ფაშისტი და გზას უკრავს მას. მუშა მირბის უკან, წააქცევს ერთ მდევარ ფაშისტს და ჩაუვარდება ხელში მესამე ფაშისტს. ხელჩართული ბრძოლაა. ამავე დროს ამ ჯგუფთან ერთად ავანსცენაზე მარცხენა კულისიდან გამორბის მეორე მუშა. მარჯვენა მხარეს ავანსცენის ნაპირას დაიჭერს მას ერთი ფაშისტი შეეტაკების

დროს ორივენი დაგორდებიან იატაკზე. ბრძოლის შემდეგ მუშის შეკვრა მოჰყვება და კაპიტალის ფეხებთან დააგდებენ. კულისებიდან ფაშისტები გამოათრევენ კიდევ რამოდენიმე მუშას. გამოდიან ორივე უჯრედ პალტოიანები.)

**პირველი:** არეულობის მეთაურები ჩვენ ხელშია.

**პეორე:** რა უყოთ მათ?

**კაპიტალი:** დახვრიტეთ!

(ფაშისტები ეცემიან მუშებს და ორ ჯგუფად მიჰყავთ იქით-აქეთ კულისებში. პაუზა. სიჩუმე. ორივე კულისებიდან ისმის სროლა. პაუზა. კულისებიდან უსიტყვოთ ისმის სამგლოვიარო მუსიკის მელოდია. მუსიკის ხმის პირველ ნახევრის დაკვრის დროს არავითარი ხმა არ არღვევს, შემდეგ კი მუსიკას ერთვის ხშირი თოფის სროლის ხმა).

**ყვითელი რუპორი:** მუშების აჯანყება ღვთის წყალობით ჩავაქრეთ. საომარი მოქმედება გრძელდება.

**წითელი რუპორი:** მუშები, რომელთაც პროტესტი გმოაცხადეს კაცობრიობის ჟლეტისა და განადგურების წინააღმდეგ, ასობით დახვრიტა ძალდამტანებელმა კომიტეტმა.

**ყვითელი რუპორი:** ოკეანეს გაღმა ქვეყნებში კომიტეტმა დიდებულად გაიმარჯვა. გამარჯვების აღსანიშნავად კაპიტალიის სასახლეში დიდი საზეიმო ქეიფია.

**წითელი რუპორი:** კაცობრიობის მესამედი ნაწილი მოწამლულია ქიმიური საჰაერო ფლოტის მიერ. დახოცილთა გვამები მილიონებს აღემატება და ლპება ოკეანეს იქით ქვეყნებში.

(სცენის გარედან ხმაურობით და ყუმბარებით ბრძოლაა. სინათლე იცვლის ფერებს. რამდენიმე კაცი თოფებით შეიარაღებულნი დახრილი სწრაფად გადირბენენ სცენაზე, გამოცვივდებიან და გაიფანტებიან ჯგუფებად და ისვრიან მარცხენა კულისებისაკენ, ისევ უკან დაიხევენ. რაზმი მოპირდაპირე მხრიდან. სროლა. უკან დახევა. რამოდენიმე კაცი სროლით გადირბენს სცენას მარჯვნიდან მარცხნით კულისებში. შემდეგ სცენაზე გამორბის თხუთმეტი კაცი. ხუთი-ექვსი ჯგუფი ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებს. ეცემიან გორავენ მიწაზე და სხვა. ამ დროს განმავლობაში სცენის გარეთ ბრძოლაა სინათლის ცვაბადობით).

ბნელდება.

წითელ სინათლეში შიშით თავზარდაცემული დიდი ბრბო გარბის სცენაზე და დაზგებზე. ხალხის მდინარება ლეკავს, თან მიჰყავს კაპიტალიც და მისი მხლებლებიც. სცენის გარედ ხმაურობაა. უცებ ყველაფერი წყნარდება.

სრული სიბნელე.

აინთება ორივე რუპორი. წითლად ანთებული ორივე წრეში ანათებს ორი სიტყვა.

**ომი ომს**

სცენის გარედან ისმის დოლის დაკვრა. ხალხის საერთო გრგვინვა ორჯერ.

(ომი-ომს! ომი-ომს! ორივე რუპორი ქრება. სიბნელიდან ისმის ხმები).

**თამარის ხმა.** ამხანაგებო. გახსოვდეთ ომი, რომელსაც უმზადებენ კაცობრიობას ყველა ქვეყნის კაპიტალისტები. მხოლოდ მსოფლიო ოქტომბერს შეუძლია გაანთავისუფლოს კაცობრიობა თვითგანადგურებისაგან.

**სერგ. ხმა:** თქვენ მუშათა კომუნისტურო პარტიავ! ახალგაზრდათა კომუნისტურო კავშირო! პიონერო! მაღლა ასწიეთ რევოლიუციის ფოლადის ხელი და მედგრად მოუქნიეთ თავში ასთავიან გველეშაპს კაპიტალს, დეე თქვენმა დარტყმამ ნაკუწნაკუწად აქციოს მჩაგვრელთა წყეული სამეფო.

(სცენის გარედან უსიტყვოდ იწყება ინტერნაციონალი, შემდეგ შემოდიან სცენაზე და სიბნელეში ათავებენ).

(სიბნელე გრძელდება 10 წუთს).

## სურათი 6

სერგო. პიონერები.
თამრო. ოქტომბრელები.

**თეთრი სინათლე.**

დაზგებზე იქით-აქეთ სძინავთ თამროს და სერგოს.

**თამრო:** (წამოხტება) სერგო!

**სერგო:** (დგება) რა იყო?

**თამრო:** მოხსენება?

**სერგო:** რა მოხსენება? ჩვენ აკი გავაკეთეთ მოხსენება. დღეს, თამრო, ოქტომბრის მერვე წლის თავია. აბა მოისმინე ყველა ქვეყნის ბავშების მოლოცვა.

(ქრება სინათლე, ინთება რუპორები),

**მარჯვენა რუპორი:** ჩვენ უპატრონო ბავშები მთელი შემადგენლობით გილოცავთ ოქტომბრის დღეს თქვენ, ნორჩ პიონერებს! ჩვენ გვსურს თქვენთან ერთად ვიაროთ ილიჩის გზით. გაგვიძეხით წინ.

**მარც. რუპ.:** ნორჩ პიონერებს ჩვენი ჭვავის პურიანი სალამი სიაფლისა და თემისაგან. ჩვენ თქვენთან ვართ! გავსწიოთ წინ ილიჩის გზით!

**მარჯ. რუპ.:** გასრესილ, მიწასთან გასწორებულ, გერმანეთის ბავშვებისაგან ამხანაგური სალამი, ჩვენ თქვენთან ერთად მოვდივართ ილიჩის გზით ოქტომბრისაკენ ჩვენ ქვეყანაში.

**მარც. რუპ.:** ჩვენ, ყველა მრავალ მილიონ პროლეტართა ბავშები, გიძღვნით სალამს თქვენ, ძმებო პიონერებო! პარტიასთან და ახალგაზრდ კომკავშირთან ერთად მსოფლიო ოქტომბრისაკენ ილიჩის გზით, ჩვენ წასაყვანად იყავით მზად!

სიჩუმე 5 წუთს.

(მაყურებელ ხალხში, დარბაზში გაისმის დოლის დაკვრა. შუა ასავლით სცენაზე ადიან რაზმები ორ ნაწილად. ორივე რაზმის შუაზე მედროშეების ორი ჯგუფია. დაირაზმებიან სცენაზე. შუა ასავლით მიდიან სცენაზე ოქტომბრელები, გულზე წითელი ვარსკვლავები აქვთ გაკეთებული. ოქტომბრელები ირაზმებიან დაზგებზე. მღერიან პიონერების სიმღერას).

ფ ა რ დ ა.

## პიესის თამაშისათვის.

(განმარტება და რჩევა).

ამ პიესის დადგმა სცენაზე პირველად, მისი სიდიდის და სურათების სიმრავლის გამო, პიონერების საშვალებით, შეიძლება ძნელად მოგეჩვენოთ. ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მოთამაშეთა რიცხვის სიმრავლე ადვილი დასაძლევია და კვირა ნახევარში სრულიად თავისუფლად შეიძლება მისი მომზადება. ისეთი პიესა არ არის, რომ მსურველ ბავშებს ყველას არ შეეძლოს მონაწილეობის მიღება და ამ მხრით დაბრკოლება არ იქნება. მაგრამ მაინც თუ ბავშების საკმაო რიცხვი არ მოიპოება ამ პიესის დადგმა თავისუფლად შეიძლება 30 კაცის საშვალებით. მოსაზრებულად უნდა იქნას დანაწილებული ბავშები სურათების მიხედვით. უკანასკნელ სურათისათვის კი შეიძლება მოწვეულ იქნას 2—3 რაზმი რაიონიდან. პიესისათვის საჭირო ახ, კომკავშირელები ყველა კლუბშია.

ამას გარდა, შეიძლება, იფიქროთ, რომ ამ პიესის დადგმა ძვირი დაჯდება. მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. საჭირო იქნება 10—12 მან., მეტი არა.

პიესის დეკორატიული ნაწილი უბრალოა. სუყველა ექვსივე სურათი ერთსა და იმავე დაზგებზე მოწყობილი. დაზგები ერთი მეორეზე მაღალია.

სცენის სიმაღლესთან შეფარდებული სხვა დეკორატიული მოწყობილება გარდა ორი რუპორისა, საჭირო არ არის. რუპორების მოსაწყობად საჭიროა ორი ფურცელი ფანერი. სიგრძით 2 არშ. და სიგანით 1 არშ. ორივე ფანერს გვერდებზე და მაღლა უნდა მიაჭედოთ ოთხ ვერშოკიანი კიდეები ყუთის მსგავსად. ორივე ფანერის შუა გულში უნდა ამოიჭრას ნახევარ-ნახევარ არშინის სიგანე, წრე და ამ წრეს უნდა გადაეკრას: ერთს ყვითელი თხელი ქაღალდი რომელსაც შუაზე, ფაშისტების შავი ნიშანი დაეკრება, და მეორეს ამნაირივე წითელი ქაღალდი, შუაზე დაეკვრება ნამგალი და ჩაქუჩი, ამას გარდა კიდევ უნდა იქნას მომზადებული ორი ფურცელი წითელი ქაღალდი რომელზედაც დაკრული იქნება: ერთზე სიტყვა „ომი“ მეორეზე „ომს“, საჭიროების დროს ემბლემის მაგივრად გაკეთდება სიტყვები. ამ ყუთებს თავზე უნდა გაუკეთდეს **კარტონის** რუპორი. ყუთებზე უნდა დაიხატოს სხვა და სხვა სახეები. მეხუთე სურათში უნდა დაიდგას ბუდკებივით ავანსცენაზე და სინათლე უნდა გაიყვანოთ შიგ. სინათლე მოწყობილია ქაღალდის წრის უკან. სანამ მოქმედება დაიწყებოდეს რუპორებში სინათლე არ არის, მხოლოდ შესაფერ სიტყვების დროს აინთება და შემდეგ ისევ ქრება.

ცოტაოდენ სიძნელეს წარმოადგენს მანქანის მოწყობა. თუ რომ ჭერი დაბალია და მანქანის აწევა მაღლა მოუხერხებელია, მაშინ შესაძლებელია იოლათ ჩაატაროთ თამაში უმანქანოდ. ამ შემთხვევაში სერგოსა და თამროს ლაპარაკი სიბნელეში ხდება. ეფექტისათვის საჭიროა მარბენალი სინათლე, რომ ინთებოდეს და ქრებოდეს სცენაზე სხვა და სხვა ადგილას. ამისათვის საჭიროა ჯიბის ოთხი ელექტრონის ფარანი: სიბნელეში ოთხი კაცი უნდა მუშაობდეს ფანრებით.

თუ გარემოება ხელს გიწყობთ, მანქანით სარგებლობისათვის, უნდა გაკეთდეს შემდეგ ნაირად: უნდა გაკეთდეს ყუთის ჩონჩხი 1 XIXI $^1/_2$ არშ. კედლები და სახურავი არ არის საჭირო, მაგრამ ძირი უნდა მაგარი ფიცრისაგან გაკეთდეს და მიმაგრებულ იქნას ორივე მხარეს ორი გრძელი 2 არშ. ჯოხები, რომელსაც აერთებს ორი შემაერთებელი ჯოხი და მოირთოს თოკებით. შუა ადგილას, ზევითა შემაერთებელ ჯოხზე, უნდა მიმაგრებული იქნას ფანერისაგან გაკეთებული პროპელერი ღერძით, რომელიც ყუთში შედის და ღერძს უნდა გაუკეთდეს ხელი ისე, რომ, როდესაც ატრიალებ ხელს, ტრიალებდეს პროპელერიც. ყუთს უნდა მოაბათ თოკები მაგრად და ჩარხის საშვალებით შეიძლება მაღლა ატანა და ძირს ჩამოშვება. მანქანა უნდა ჩამოჰკიდოთ სცენის წინა ნაწილში.

ტანისამოსი ყოველნაირ მასალისაგან შეიძლება შეიკეროს: ტილო, ტომარა, ქაღალდი, ყველაფერი შეიძლება გამოიყენოთ. სურათების მიხედვით შემდეგი ტანისამოსებია საჭირო: 1-ლი სურათი—პიონერების ტანისამოსი. 2-რე სურათი ყოველნაირი ტანისამოსი, როგორიც მოეპოებათ

ბავშებს. 3-მე სურათი—ხალათები, ქალამნები, ძველი ნაბდის ქუდები, ჩოხები, მოკლე შარვლები, სხვა ნაჭრებით გადაკერებული და სხვა. მე-4 სურათი—კომუნისტები ტყავის კურტკები, შეიძლება, იქირაოთ, ან ითხოვოთ წარმოდგენის დროს მაყურებელ კომკავშირელებისაგან. ფაშისტები—ქაღალდის კუ-კლუკს-კლანის ქუდებით, ზედ დახატულ ფაშისტების ნიშნებით, საკუთარი ხალათები და შარვლები. სკაუტები—პიონერების ტანისამოსი, თავით ბოლომდის სხვა და სხვა ნიშნებით, თასმებით, და ნაჭრებით მორთული, სკაუტის ქუდები. გერმანეთის პიონერები—ჩვეულებრივი პიონერის ტანისამოსით, მაგრამ სხვა ფერის, ისეთი არა როგორც სერგოსა და თამროსა აქვთ, უმჯობესია ლურჯი ფერის იყოს), კეპი, წინდები, ფეხსაცმელი. მე 5 სურათი—კაპიტალი რაც შეიძლება სქელი უნდა იყოს—ფრაკი, ჟილეტი. მოხელე—დაახლოვებით ისევე აცვია, როგორც კაპიტალს, მხოლოდ გამხდარი კაცია. კაცობრიობის გამანადგურებელი კომიტეტი—ყვითელი პრიალა კარტონის ჯავშანი, საგულე და აბჯარი ირგვლივ კალისფერ ქაღალდის ზოლით შემოვლებული. ამნაირივე მუზარადი; მსახურები—ფერადი ქაღალდებისაგან გაკეთებული ქამრები, პირველი ჯგუფისათვის ყვითელი ფერისა, მეორისათვის—აგურის ფერისა და მესამე ჯგუფისათვის—ღია მწვანე ფერისა ტანისამოსი ქამრის ქვეშ შეიძლება ყოველნაირი, მხოლოდ როგორმე აქარგული უნდა იყოს. უჯრედი პალტოები თუ არ არის შეიძლება შეცვლილ იქნას მსახურთა ტანისამოსით, მხოლოდ ქამრები შავი უნდა იქნას. თავზე კეპი. მოცეკვავეთათვის საჭიროა გრძელი კაბები მოდაზე შეკერილი. ოქტომბრელებისათვის საჭიროა გამოიჭრას წითელი ქაღალდის ვარსკვლავები.

გრიმი არ არის საჭირო. კაპიტალისა, მოხელესა და მსახურთათვის საკმაოა თხუთმეტიოდ კარტონის ფერადი ნიღაბი: სინათლის შესახებ ყველაფერი თვითონ პიესაში არის ნათქვამი.

ზოგიერთი მოსაზრება ტეხნიკური წვრილმანების შესახებ ცალკე სურათებისათვის.

**1 სურათი:** დასაწყისი მხიარული და ახმაურებული, სწრაფი, საქმიანი კრება. მხიარულად გასვლა. მამლების ბრძოლა შეიძლება მუსიკის ხმაზე. მანქანის ჩამოშვება ხდება ორკესტრის ხმაურში, სტვენაში და ყვირილში. ორკესტრი უკრავს ლაპარაკის დროსაც, მაგრამ არ უნდა უშლიდეს მოსმენას:

**2 სურათი:** უსიცოცხლობა, სანამ შიშის ზარი არ დაჰკრავს. სწრაფად გარბიან სხვადასხვა მხარეს. გამოცოცხლდებიან პიონერების მოსვლისთანავე.

**მე-3 სურ.:** გაცხარებული სიმღერა და ცეკვა თამაში. სოფლის გოგო-ბიჭები საუკეთესოდ შეუძლიათ ითამაშონ ახ. კომკავშირელებმა.

**მე-4 სურ.:** სქემატიურად. მარტივად და გამოანგარიშებული მიზანსცენების შეცვლა. არც ერთი მეტი მოძრაობა. მოქმედების კინოსებური ტემპით სწრაფად ჩატარება. გარკვეული ლაპარაკი. სიტყვა სასტიკად სახავს მოქმედებას.

**მე-5 სურ.** დასაწყისი გაჭიანურებულია. მოხელის ხმა მაღალი და მკაფიო. მსახურები იგრიხებიან. ომის გამოცხადების მომენტიდან მუშების დახვრეტამდის, თამაშობის ტემპი აჩქარებულია. სამგლოვიარო მუსიკის მწყობრ ტემპს სცვლის სამხედრო მუსიკის მწყობრი ტემპი. სროლა წინდაწინ უნდა დამუშავდეს

**მე-6 სურ.** მწყობრად გავლა და განაწილება სცენაზე რაზმებისა და ოქტომბრელების, რაც დამოკიდებულია სცენაზე დაზგების მოწყობაზე და ხელმძღვანელის უნარიანობაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სცენაზე დაცული იქნას ტემპი და მოქმედება სურათების დახასიათების მიხედვით.

## ტექსტში ცვლილების შესახებ

მოგვყავს აქ ზოგიერთ უმთავრეს მონოლოგების ცვლილება, რომლის საშუალებითაც შეიძლება პიესა, დღესასწაულის მიხედვით, შეცვლილი იქნას. დანარჩენ, უფრო ნაკლებ პასუხსაგებ ადგილების შეცვლა შეიძლება საკუთარი ძალღონით.

### სურათი 1.

**მარო:** ყმაწვილებო. მე მხოლოდ ერთი წუთით მინდა გესაუბროთ. როგორც თქვენ თვითონაც იცით, ჩქარა ჩვენი საერთაშორისო ბავშთა კვირეულია. კვირეულს იდღესასწაულებენ ყველა ქვეყნის: აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის კომუნისტი ბავშები. იმ საქმეებს გარდა, რომელიც ამ კვირეულის დროს უნდა შევასრულოთ, ჩვენი რაიონის შეუკავშირებელ ბავშთა შორის აგიტაცია უნდა ჩავატაროთ. ამისათვის უნდა მოვაწყოთ საღამოები და თქვენ, პიონერებმა, თვითონ უნდა გააკეთოთ სხვადასხვა მოხსენებები, გააცნოთ შეუკავშირებელი ბავშები ყველაფერს რაც ხდება ირგვლივ. თქვენ უნდა უამბოთ იმათ ჩვენ შინაურ მუშაობის შესახებ, უპატრონო ბავშებში ან და სოფელში მუშაობის შესახებ, საერთაშორისო ბავშთა მოძრაობისა და ფაშისტების ბავშების მოქმედებისა, კაპიტალისა და ომის არსე-

ბობის შესახებ... ამისათვის ჩვენ რაზმში უნდა ავირჩიოთ ორი მომხსენებელი, რომელთაც დაევალებათ მოემზადონ მოხსენებისათვის.

**სურათი მე-2:**

**სერგო:** შეიძლება, ამხანაგებო. აი ჩქარა ჩვენი ბავშთა საერთაშორისო კვირეული იქნება, მოდით მაშინ ჩვენთან და მიგიღებთ ყველას.

**ყველა:** (სიმღერა).

შესაფერი სიმღერა.

**სურათი მე-3.**

სერგოს მონოლოგში ადგილები ოქტომბრის შესახებ უნდა შეიცვალოს.

**სურათი მე-4.**

ამ სურათში შეიძლება ბევრი წვრილმანი ცვლილებების შეტანა, რომელიც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს და საკუთარი ძალღონით შეიძლება, მაგალითად ოქტომბრის გადატრიალების დღესასწაულის მაგიერ, რომლის გარშემოც იშლება მოქმედება, შეიძლება შეცვლილი იქნას პროტესტით და გაფიცვით.

**სურათი მე-5.**

თამროს უკანასკნელი მონოლოგიდან უნდა გამოიშვას სიტყვა ოქტომბერი.

**სურათი მე 6.**

რეპორიით მისალმებაში შეიცვალოს სიტყვები.

# მუშავ დაჰკარ!

მუშავ, დაჰკარ!..
დაჰკარ მედგრად;
აამღერე
რკინის გრდემლი.
გამოსჭედე
ლახვარი... მტერს
აღვრევინე
მწარე ცრემლი.
ის გტანჯავდა
მრავალ წლობით;
ის გყვლეფავდა
შრომის შვილსა.
შენის ოფლის
მონაგარით
ეძლეოდა
შვება ლხინსა!
ახლა კმარა!..
მზე ბრწყინვალებს,
მზე მაშვრალთა
უფლებისა.
დაჰკრა ჟამმა
და ინგრევა
ტახტი ძველი
ღმერთებისა!
შენ მძლავრი ხარ!..
ვაშა, შენს მკლავს
და დაჭიმულ
მასზე კუნთებს!..
შენი ძალა,
შრომის შვილო,
მთელ ქვეყანას
მოგაკუთნებს!..
მაშ, დაჰკარი,
მუშავ, მედგრად
აამღერე
რკინის გრდემლი.
გამოსჭედე
ლახვარი... მტერს
აღვრევინე
მწარე ცრემლი.

დ. ელიოზიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა
















სურათების ახსნა: 1. ჩრდილოეთის ბუნება, 2. სოფლის წარმოება—მეცხვარეობა და ბოსტანი, 3. ბუნება იღვიძებს, 4. ტყე. 5. ანგარიშობის კუთხე.

# ტფილისის მე-18 ოთხწლიანი შრ. სკოლის მოწაფეთა ნამოქმედარის გამოფენა

გული სიხარულით გევსება, როდესაც საერთოდ ტფილისის შრომის სკოლების მოწაფეთა ნამოქმედარის გამოფენასათვალიერებ. იმედი გიპყრობს, გჯერა, რომ ძველი სკოლა თავისი მშრალი, უსიცოცხლო სწავლების წესით ისტორიას ბარდება, მის ადგილს ახალი, შრომისა და თვითმოქმედების პრინციპზე აგებული სკოლა იჭერს.

წავიდა ის დრო, როდესაც ნორჩი თაობის სულს და გულს, მას მოძრავ ბუნებას მშრალი, მწიგნობრული სწავლების წესით ადუნებდენ, აჩლუნგებდენ; არ უწევდენ ანგარიშს ბავშის ბუნების სალ მოთხოვნილებას, მოძრაობას, თვითმოქმედების და შემოქმედების მძლე სურვილს.

ახალი შრომის სკოლა სწორედ ამას უწევს ანგარიშს. ის ბავშის ბუნების შესწავლიდან გამომდინარეობს, ის ბავშს ფართე გასაქანს აძლევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა






ცხადყოს, გაშალოს მის არსებაში ჩასახული სასიცოცხლო ძალები, და ამნაირად, შრომაში და საქმიანობა-თაოსნობაში გაწვრთნილი გადავიდეს სკოლიდან ცხოვრებაში, რათა დაუბრკოლებლად განაგრძოს მსვლელობა ჩვენი ყოფნის ნარ-ეკლიან გზაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოწაფეთა ნამოქმედარის გამოფენით **მე-18-ე შრომის სკოლა.** ამ გამოფენის მხილველი განცვიფრებაში მოდის და რწმუნდება იმაში, თუ რა მიღწევებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი იმ სკოლაში, სადაც მასწავლებელნი მთლიან, მოსაზრებულ, გეგმიან და შეგნებულ ხელმძღვანელობას უწევენ ნორჩ თაობას.

შეუძლებელია დაწვრილებით აღწერა მოწაფეთა ყველა ნამოქმედარის. ამას კარგა მოზრდილი წიგნი დასჭირდება.

მე მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ განსაკუთრებით საყურადღებო მომენტებს ამ გამოფენიდან.




**სურათების ახსნა: 1. ბაღში მუშაობა, 2. ბოსტანში მუშაობა, 3. ბათომის კუთხე.**

აქ ყურადღებას იქცევს კომპლექსი **„იას ოჯახი"**. დავიწყოთ საბავშო ბაღის ჯგუფიდან.

ყველგან მაგიდას უდგანან პაწიები და გეტიკტიკებიან ტკბილი ხმით, გიხსნიან მშვენივრად თავიანთ ნამოქმედარს, მხიარულნი არიან, რომ ხალხის, მშრომლების და აღმზრდელების ყურადღება მიიქცია მათმა ნამოქმედარმა.

— აი, იას სახლ-კარი,—გეტიკტიკება პაწია, აი, იას ოთახი, აი, ლოგინი, გასართობები, აგერ ეზო, ბოსტანი, ბაღი, აგერ ჭერამის ხე.

— ია სადღა არის? ეკითხები.

— იას, აი, აქ, გარეთ სძინავს, დაიქანცა და ჰაერზე უნდა დაისვენოს.

გადადიხარ პირველ ჯგუფში. თქვენ გიზიდავთ ერთი მაგიდა. მიდიხარ, ეკითხები პაწიას, ეს რა არის?

— ეს მიხას კარ-მიდამოა: აი, სახლი, ბოსტანი მწვანილეულობით (ნამდვილი ქორფა მწვანილი ამოუცენებიათ, აქ სრული სინამდვილეა). აგერ ყანა, ხეხილის ბაღი, კალო, საბძელი, აგერ გორაკი-საძოვარი, იქ მიხას „ცხვრის ფარა" სძოვს, ცხვარს გვერდით მწყემსი უზის, სალამურს უკრავს, იქვე ძაღლი წევს.

**სწორედ სრული ილუზიაა გლეხის კარმიდამოსი.**

აგერ, ერთ კუთხეში **ზამთარია** წარმოდგენილი. მშვენიერი, ციგნიანი კოხტა ოდა წამოუჭიმავს პატარა მოწაფეს. თავის ნამოქმედარს თვითონ უდგას, თავს დაჰკანკალებს, უფრთხილდება, სხვებსაც აფრთხილებს, არ გააფუჭონ.

— ეს ციგა არის, გეუბნება ბავში, ციგაზე ვანო ზის, მაღლიდან უნდა ჩამოსრიალდეს. მაგრამ აგერ, შეხედეთ, ხეს ნიკო ეფარება, ხელში თოვლის გუნდები აქვს. როგორც კი ჩამოსრიალდება ვანო, ის გუნდებს ესვრის, გეუბნება. მას სჯერა, რომ ეს მართლა ასე მოხდება, ისეთი სიწრფელით ამბობს ამას.

— აგერ, კიდევ, ხის ქვეშ მობუზული ბიჭი, გიგლა, ხელები სახელოებში შეუწყვია და საცოდავად მობუზულა. ეტყობა, სცივა და თამაშობა არ იზიდავს.

იქავე—**„შემოდგომა"**: ხეები შიშვლდება, ფოთლები ცვივა, მიდამოს სიყვითლის ფერი გადაჰკვრია, მერცხლები თბილ ქვეყნებისაკენ მიფრინავენ. გოგი ემშვიდობება თავის მერცხალს ლექსით და ეხვეწება მალე დაბრუნდეს გაზაფხულზე, ჰპირდება: მის დაბრუნებამდე მის ბუდეს კარგად მოუვლის.

ამავე ჯგუფში საინტერესო მოდელია— **„ივანეს ოჯახი"**:—სახლ-კარი, კალო-საბძელი. აგერ, სახლს მოშორებით ივანეს გუთანი გაუმართავს და ხვნას შესდგომია, პურს სთესავს. კარ-მიდამო გაზაფხულის სურათს იძლევა; ამწვანებულია ბაღ-ბოსტანი. სახლის გვერდით ცალი ხარი წევს: ივანეს უბედურება ეწვია,—გიხსნის პატარა,—ცალი ხარი მოუკვდა, მაგრამ მეზობლებმა ათხოვეს ხარიო.

იქვე ეზოში კრუხ-წიწილა არის; ქორს ერთი წიწილა მოუტაცნია და მიაქვს.

სოფელში კოოპერატივი არის. შიგ გლეხები დგანან და საჭირო ნივთებს ყიდულობენ.—სანამ სოფელში კოოპერატივი არ იყო, ივანე კერძო, ჩარჩ-ვაჭრის დუქანში ყველაფერს ძვირად ყიდულობდა, ახლა კი კოოპერატივის წევრია: იქ ყველაფერი კარგი და იაფია, გიხსნით დაჯერებით მოწაფე.

**მე-2 ჯგუფი.**

აქაც იგივე სურათები. აგერ **პეტრეს ოჯახის მოდელი.**—პეტრე წინათ ღარიბი იყო, სახნავ-სათესი მიწა არ ჰქონდა, ახლა მიწა მისცეს უფასოდ, მუშაობს და ოჯახი წინ წასწია, გეუბნება პაწია და თან გიჩვენებს მის კარ-მიდამოს, ბაღს, სახნავ-სათესს, საძოვარ ადგილებს და სხვას.

ეტყობათ, პაწიებს სოფელი უფრო იზიდავს; ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ", მათაც შეუგნიათ და პატარა ქალაქელებს სოფლისათვის მიუქცევიათ ყურადღება. საერთოდ, გამოფენაში სოფელი უფროა წარმოდგენილი, ვინემ ქალაქი.

მაგრამ არც ქალაქია მივიწყებული. **აგერ ტფილისის მოდელი მამადავითის მთიდან.** დაჰყურებ მაღლიდან, ქალაქის მიდამოები სახლებით შენობებით არის მოფენილი, შუაში მტკვარი მიდის, მთავარ ქუჩაზე—რუსთველის გამზირზე—ტრამვაი მისრიალობს.

ოთახის შუაში აკვარიუმია მოთავსებული: შიგ კუ და ლოკოკინებია. ლიტერატურიდან **„ყაყიტას ქურდი"** არის წარმოდგენილი: ყაყიტას კარ-მიდამო, თვით ყაყიტა დგას ეზოში.

აგერ **„გაზაფხულის კუთხე"**, ბუნება იღვიძებს: მიდამოები ამწვანებულა, ხეხილები ყვავილობენ, მერცხლები მოფრინავენ, აგერ შოშიებიც მოსულან, ბუზ-პეპლებსაც გაუღვიძნიათ, წყლებიც ადიდებულა და მოჰქუხან თავქვე.

ბავშს სრული წარმოდგენა შეუქმნია გაზაფხულზე.

მაგრამ ამ ჯგუფის აპოთეოზად უნდა ჩაითვალოს **„ტყე"—ტყის მშვენიერი მოდელი.** ეს ნამდვილი ტყეა, მხოლოდ მინიატურით, პატარა მასშტაბით.

როგორ მოსწონს თავი პატარა ბიჭს, რომელსაც ბედად ამ ტყის ახსნა-განმარტება ხვდომია

წილად. ალბად ამ ტყის შექმნაში აქტიური პირო-ვნებაა; ლაპარაკიც არ ეზარება: გიხსნის ყველა-ფერს, მერე ისეთი დაბეჯითებით და დამჯერებელი ხმით, სწავლულის იერით, დინჯად გიხსნით, თანაც იცის, რომ დიდები იქვიანი ხალხი ვართ და რომ გაგვიფანტოს იქვი იმის შესახებ, რომ ეს მართლაც ნამდვილი ტყეა, ყველაფერს წინასწარ ხაზს უსვამს და გეუბნება: ეს ყველაფერი ნამდვილი ტყის ნაწილებია,—თქვენ გგონიათ, ეს უბრალო მოდელია? არა, ეს ნამდვილი ტყეა, აი, შეხედეთ, მწვანე ხეები, ჩვენ ეს აქ ამოვაცენეთ, აგერ ჩანჩქერი, (მართლაც, წყალი გადმოდის, ისე მოუწყვიათ) აგერ მთის მდინარე, ტბა, ტყის ბოლოზე წისქვილი ბრუნავს. საღამოა, ტყეს თავზე მაღალი მთა გადმოჰყურებს, მთვარე ამოგორებულა და ამაყად დაჰყურებს ძირს ტყეს. ტყის მწვერვალზე არწივი ზის და სხვა მტაცებელი ფრინველები.—პეტრე, აი, აქ, ამ მთაში მიდის სანადიროდ, მაგრამ ცოტა კი ეშინია. ძლიერ ბევრი მგელი და დათვია, დაათავა მოწაფემ.

გადადიხართ მე III ჯგუფში. ყოველი ჯგუფი ერთი-მეორეზე უკეთესს სურათს იძლევა. მოწაფეებს წიგნების საკინძავი სახელოსნო მოუწყვიათ და მშვენიერად დაუკმაზმავთ წიგნები.

აგერ, სამჭედლოს კომპლექსი. მჭედლები გრდემლს შემოხვევიან მოღერილი ჩაქუჩებით და, გგონია, ეს—ეს არის, გრდემლზე გაიხმაურებს დარტყმული ჩაქუჩით. საბერველი გუგუნებს. იქვე გლეხი დგას და ცულს ყიდულობს.

**,,ექსკურსია წყნეთში''** და **,,მეცხვარეობის კომპლექსიც''** კარგად არის გადმოცემული.

ამავე ჯგუფში **„საბარგო სადგურია“**. აგერ, საბარგო მატარებელი მისდგომია სადგურს, შავი-ქვა მოუტანია ღია რონოდებს. დახურულ რონოდებში ფქვილი და სხვადასხვა საქონელი აწყვია, აგერ სკოლის ბაღის ნიმუშები: შვრია, ბრინჯი, სელი, კანაფი, ფეტვი და სხვ.

შედიხარ მეოთხე ჯგუფის ოთახში. აქ უფრო რთული ნამოქმედარი გვხვდება: „ცივი ქვეყნების“ კომპლექსი. ჩრდილო ქვეყნების სამოელების ყოფა-ცხოვრება. ჩრდილოეთის ზღვა. მშვენივრად დაძერწული ჩრდილოეთის ზღვის ნაპირები, „ჩრდილოეთის ელვარების“ სრული ილუზიით. ესკიმოსების ქოხები. ზღვის ნაპირზე ზღვის ლომები წვანან.

**ცხელი ქვეყნები**—თავისი დამახასიათებელი ცხოველებით და ფრინველებით. აგერ, უდაბნოში მოგზაურობა. ოაზისი და ოაზისის ნაპირზე დასვენებული ქარავანი.

იქვე—**„ტყის მოსახლეობა“**—სვეტებიანი შენობები.

აგერ—„კავკასიონის მთაგრეხილი“, მთების დიაგრამი, მოდელები, მთაზე მიჯაჭული ამირანი; მთის მოსახლეობა, მხარზე კოკაშედგმული ქართველი ქალი წყაროზე მიდის; მწყემსები თავის საქონლით. მე-IV ჯგუფის გამოფენის აპოთეოზად „ზღვის კუთხე“ ჩაითვლება. ეს ბათუმში ექსკურსიის შედეგი გახლავს. აუარებელი მასალა მიუცია ზღვას შთაბეჭდილებებზე ხარბ მოწაფეებისათვის. რაც უნახავთ, ყველაფერი დაუძერწავთ, მოდელები გაუკეთებიათ, დაუხატავთ, მრავალი ყვავილი ცოცხლად მოუტანიათ და აქვთ, ტროპიკული მცენარეების ფოთლების გერბარიუმები დაუმზადებიათ.

აგერ ზღვა, ზღვის ნაპირი—ნავსადგური, ბულვარი, კანდელი მოუტანიათ ზღვის მრავალი ლამაზი ქვა, რომელზედაც დაუხატავთ თვით ზღვა, ქვებზე დაუწერიათ ზღვისადმი მიძღვნილი ლექსები და სხვ.

ლიტერატურიდან ამ ჯგუფში ეგ. ნინოშვილის „განკარგულება“ არის წარმოდგენილი ნათლად. მატარებელი გურიაში, ლიანდაგზე კაცია,- მუნჯაძე წევს. ყოველ ჯგუფს ლიტერატურაც აქვს: მოთხრობები, ლექსები. ბევრი ისეთი ნაწარმოები ურევია, რომელთაც ჩვენი სახელმძღვანელოებიც ვერ დაიწუნებდა.

**ილ. სიხარულიძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერთა მოძრაობის გზები

(კ. კ. საკავშირო კონფერენციის გამო)

საკითხის დაყენებას პიონერთა შორის მუშაობის საწარმოებლად რ. ლ. ა. კ. კ. მე-4 საკავშირო კონფერენციაზე აქვს სამგვარი მნიშვნელობა.

პირველი — ხდება ბავშთა მოძრაობის მუშაობის წლიური შეჯამება, დაწყებული რ. კ. პ. 13 ყრ. და რ. ლ. ა. კ. კ. მე-6 ყრილობიდან (1924 წლის ზაფხული) და მომავალი ამოცანების დასახვა; მეორე — საკითხი ისმება ადგილობრივ ორგანიზაციების ისეთ ავტორიტეტულ ყრილობაზე, როგორიც არის საკავშირო კონფერენცია, მესამე — კონფერენცია მუშაობს სწორედ მაშინ, როდესაც დაასრულა მუშაობა პიონერ-მოძრაობის პრაქტიკულ მუშაკების საკავშირო ყრილობამ.

თუ რ. კ. პ. მე-XIII ყრილობამ მიაქცია სერიოზული ყურადღება პიონერ მოძრაობას, ამის შემდეგ ახალი თაობის აღზრდის და მომზადების პრობლემა ისახება უფრო მკაფიოდ და ფართედ.

„ახალი ტიპის ხალხის შექმნის ამოცანა, ახალი ურთიერთობით, ახალი ჩვეულებებით, ახალი მისწრაფებებით, ახალი ფსიქოლოგიით და ახალი იდეოლოგიით (ნ. ბუხარინი) სდგას ეხლა ჩვენს წინაშე მთელი თავის სიგრძე-სიგანით.

ის უდიდესი ზრდა, რომელსაც განიცდის პიონერ-მოძრაობა (პიონერთა რიცხვი გაიზარდა 200 ათასიდან მილიონ სამასი ათასამდე) პიონერთა საზოგადოებრივი საქმიანობის მინდობილობა, ზრდა პიონერებისა სოფლად (30 ათასიდან 400 ათასამდე) სკოლაში ფართე მუშაობის წარმოება (ცხრა ათასი სკოლის პიონერ-ფორპოსტები) გავლენა უფრო მცირე ასაკოვან ბავშვებზე — ყველაფერი ეს გვიკარნახებს ყურადღების ყოველმხრივი საჭიროების გაძლიერებას და დახმარებას, როგორც პარტიის და კომკავშირის მხრიდან ისე სახელმწიფოს მხრივაც.

ლოზუნგი რომელიც წამოისროლა რ. ლ. ა. კ. კ. მე-6 ყრილობამ „ყოველ კომკავშირელზე — თითო პიონერი“, შესრულებულია. სავსებით დროულია აგრეთვე მეორე ლოზუნგი — „კავშირის ყოველ უჯრედთან — პიონერთა რაზმი„.

პიონერთა მოძრაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საშუალებას იძლევა განვახორციელოთ თაობის გარდაქმნა ფართე მასშტაბით და მოვაქციოთ კომუნისტური გავლენის ქვეშ ყველა ბავშვები, დაწყებული მუშათა რაზმებიდან.

პიონერთა მოძრაობის შესახებ ეს უნდა ითქვას პირდაპირ, დღემდე მნიშვნელოვნად იყო წარმოებული პარტიულ და კომკავშირულ მუშაობის მეთოდებით, ხშირად არ იყო მიღებული სახეში ბავშთა ასაკის განსაკუთრებულება, დავიწყებას ეძლეოდა ის გარემოება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ამ შემთხვევაში სრულიად სხვა, განსაკუთრებულ ადამიანის მასალასთან.

აქედან წარმოიშვა აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია ბავშის ფსიქოლოგიის და მოთხოვნილების ხელმძღვანელების მიერ პედაგოგიურ მეთოდების უცოდინარობასთან და სხ.

საკავშირო ყრილობამ დასახა მთელი თავის სიგძე-სიგანით სწორი მეთოდები, რომელიც გულისხმობს ბავშის ასაკის განსაკუთრებულებას, უნდა გააღრმავოს, გააფართოვოს და გააცხოველოს პიონერული მუშაობა ბავშთა ფართე მასებში, და უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება მუშაობის უმთავრეს დარგს — სკოლას.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ხელმძღვანელების კადრის შექმნას, რომელთაც ექნებათ შესაფერი მომზადება და ეცოდინებათ მუშაობის მეთოდი. ამაზე არის დამოკიდებული სწორი განვითარება და მუშაობა პიონერ-მოძრაობაში. „ყურადღება წინამძღოლს“. აი თანამედროვე ლოზუნგი.

ამ ლოზუნგის განხორციელება და აგრეთვე სწორი მიდგომა პიონერთა შორის მუშაობის ამოცანებისადმი, დამოკიდებულია მოძრაობის ხელმძღვანელობის სწორ დაყენებაზე და პარტიისა და კომკავშირის მხრით დახმარებაზე.

არ არის საჭირო არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა, მაგრამ არ უნდა დავფაროთ, რომ პიონერ-მოძრაობისადმი ყურადღება პარტიის და კომკავშირის მხრით განსაკუთრებით ქვედა ორგანოებში არ იყო საკმარისი, და ხშირად არც კი იყო კარგად შეგნებული პიონერებთან მუშაობის რაობა.

საჭიროა დახმარება პიონერ-მოძრაობის პარტიულ მუშაკების მეოხებით, კულტურულ ძალების ჩაბმით, მოძრაობის ამოცანების განმარტებით, მატერიალურად დახმარებით.

კომკავშირის მხრით საჭიროა დაახლოვება უჯრედების პიონერთა რაზმებთან, კომკავშირმა უნდა ჩაუყენოს პიონერებს სათავეში საქმიანი ხელმძღვანელები და უნდა მივაღწიოთ იმის გაგებას, რომ პიონერული მუშაობა ერთი ძირითადი ნაწილთაგანია კავშირის მთელ მუშაობის.

პიონერთა მოძრაობის წინაშე დიდი მომავალია, უნდა გვახსოვდეს ამხ. ლენინის სიტყვები მე-3 ყრილობაზე: „იმ მუშაკთა თაობა, რომელიც აღიზარდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უკეთეს შემთხვევაში შესძლებს გადასწყვიტოს ამოცანა კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრების საფუძვლების მოსპობისა, რომელიც ეყრდნობა ექსპლოატაციას.

კომუნიზმი ჰქმნის ახალ თაობას.

„ქ. პ."



# მერე რა ვუყოთ

ეი, თქვენ! გინახავთ
ქუჩაზე რიგი
პიონერების,
წინ ბარაბანით?

ნორჩია, მაგრამ
ისე მხნედ მიდის,
თითქოს სიმძიმით მიწას აპერებს.

აი, ჰკითხეთ მას,
რას გრძნობს, როდესაც
პაწა მარჯვენა ხელს
იტანს შუბლზე.
გეტყვისთ:
„მამები ბრძოლებს მოსდევდა,
ტყვიებს ვარდივით
იბნევდენ გულზე!

უნდა შევცვალოთ
ახლა ისინი,
„მზად ვართ" ამისთვის,
ხელიც მას ნიშნავს;
და ნუ ჰგონია მას,
ვინც დაგვცინის,
რომ კიდევ ძუძუს მწოვი ბავშვი ვართ.

რა უყოთ მერე, ჩვენი ცხოვრება,
ძმებო,
ნორჩია ახლა ჩვენსავით:
პიონერივით დაიარება
მოკლე შარვლით და ყელსახვევით.

თ. ჩქარეული.

# რა უნდა ახსოვდეს მუდამ პიონერს სოფლად

პიონერო!

ა) პიონერს რომ შეხვდე, მარჯვენა გაშლილი ხელი მაღლა ასწი, ხუთივე თითი სწორედ გაშლილი და ერთი-ერთმანეთს მჭიდროდ მიდებული უნდა იყოს. **ამნაირია მისალმების ნიშანი.**

ხუთი თითი აღნიშნავს მთელ მსოფლიოს და მის ხუთ მატერიკს: ევროპას, აზიას, აფრიკას, ამერიკას და ავსტრალიას, სადაც კომუნიზმის დამყარება და განხორციელება შენს საბოლოო მიზანს შეადგენს,

ბ) უახლოესი შენი ამოცანა კი აი რა არის: შენ უნდა უშველო სოფლის ბავშებს, შენსავით წითელი გულსაკიდი გაიკეთონ და პიონერთა კოლექტივში დაირაზმონ.

სოფლის ბავშები ძალიან ცუდ პირობებში არიან, ბევრი რამ აკლიათ, ამასთან შეგნებაც ნაკლებია მათში,—ამიტომ ეცადე ჩაითრიო იგინი შენს საქმეში.

ეს საქმე დიდია და ძნელი, მაგრამ **პიონერი მიტომ გეწოდება შენ, რომ ყოველივე სიძნელე და დაბრკოლება დასძლიო.**

გ) დადგა გაზაფხული, სახლში ველარ ისვენებ, გინდა მუდმივ გარეთ ყოფნა. მაშ, გადი ბუნების წიაღში, მაცოცხლებელ ჰაერზე, მზის სხივებზე;

დეე, მკერდმა თავისუფლად ისუნთქოს.

ხომ იცი, პიონერს მკერდი ღია აქვს, მუხლები ტიტველი, სახელოები შეკეცილი (ხელები დამკლავებული), ესე იგი მისი ტანსაცმელი ძალიან მსუბუქია და მარტივი. ნებიერობასა და აზიზობას ადგილი არა აქვს. პიონერს სცხვენია ნებიერობის; იგი მაგალითია ამაში სხვისი.

ყოველ შესაძლებელ წუთში ჰაერზე უნდა იყო, არამც თუ მხოლოდ თამაშობდე ჰაერზე, არამედ უნდა იმუშაო კიდეც და ჰაერზევე გეძინოს.

დ) თუ გინდა ჯანმრთელი იყო, მოქნილი, სხარტი, ღონიერი, ივარჯიშე სხვადასხვანაირი თამაშობით: სირბილი, ხეზე ასვლა, ხტომა და სხვ. ამ დროს შენი ფილტვები ძლიერ მუშაობს, ბლომა ჰაერი ჩადის შიგ; ამიტომ გულიც ძლიერად სცემს და სისხლი ძარღვებში სწრაფად მოძრაობს. ამის შედეგია: ჭამის მადის გაღვიძება, სხეულის განახლება, ახალი ძალ-ღონის დაგროვება. პიონერი ღონიერი, მაგარი და გამძლე უნდა იყოს,

ე) ხშირად მოაწყე გასეირნება ტყეში, მინდორში, დააკვირდი ბუნებას, ბევრ რასმეს გასწავლის იგი, უტყვი, მაგრამ ბევრის მთქმელი.

**ნოტიო დარში ცის ქვეშ ნუ დაწვები**, თუ არა რაიმე საფარის ქვეშ, მეტადრე, თუ სუსტი აგებულებისა ხარ.

ნურც შენ ჩაიდენ ამას და სხვასაც ურჩიე.

**ღამე ტყეში ძილი სახიფათოა;** მცენარეულობა ჰაერიდან დღისით ნახშირმჟავს ითვისებს და მჟავბადს კი უშვებს; ამიტომ ტყეში დღისით სუფთა, სასარგებლო ჰაერია და იქ ყოფნა სასარგებლოა. ღამე კი პირიქით—მცენარე ჰაერს მჟავბადს აცლის და ნახშირმჟავს უშვებს; ამიტომ ტყეში ბლომადაა ნახშირმჟავა, რომელიც მოსწამლავს სისხლს.

ნურც შენ ჩაიდენ ამას და სხვასაც ურჩიე,

ვ) ის რაც მოიფიქრე და მოისაზრე ზამთარში, აი, სწორედ ახლა, გაზაფხულ-ზაფხულში, უნდა განახორციელო: უპირველესად ყოვლისა ლენინის ანდერძი: **სოფლის განათლება და მთელი შენის ძალ-ღონით საქმით განხორციელება** ამისი.

მაშ, განვახორციელოთ ქალაქის და სოფლის კავშირი, დაუკავშირდეთ, დაუმეგობრდეთ სოფლის ბიჭებს, შევიტანოთ სოფელში სწავლა-განათლება, გავეცნოთ გლეხის მეურნეობას და არამც თუ მხოლოდ გავეცნოთ, ჩვენც ჩავერიოთ და მონაწილეობა მივიღოთ მინდვრის, ვენახის თუ ბაღის მუშაობაში.

ამასთან, სოფლის ბიჭებთან მუდმივად ითამაშე, იბაასე, ხშირად მოაწყე დღესასწაული, საღამო, ერთად გაატარე ღამე ცეცხლის პირს. აი როდის დაგიახლოვდება იგი და შენ კი საშუალება მოგეცემა ცოტ-ცოტა აუხსნა მას შენი მიზანი და ამით შენს რიგებში ჩაითრიო.

**კიდევ:** თან გქონდეს შესაფერისი წიგნები, ჟურნალები (სურათებიანი, რადგანაც სოფლის ბიჭს ძალიან უყვარს სურათების სინჯვა), გაზეთები;

როცა კი გაიგო, მხურვალე მონაწილეობა მიიღე გლეხების ყოველგვარ ყრილობაზე, გამოდი სალაპარაკოდ, ნუ შეგრცხვება, ბევრს მოანდომებ ლაპარაკს შენის გამოსვლით.

**ზ) იყავ დაკვირვებული სოფლად, არ გამოგეპაროს არც ერთი ღარიბი გლეხი, უპატრონო ავადმყოფი, მოხუცი.** ყური მიუგდე მათ;

საერთოდ კი შენი მუშაობის ანგარიშიც და ის ნაკლი, რომელსაც სოფელში ხედავ, აწუსხე და წერილის სახით გამოუგზავნე „წითელ სხივს“ ან „პიონერს“ თბილისში.

ეს ცოტა რამ, რაც ზემოთ აგიწერე და ამოცანა დაგისახე, პიონერო, ეს ცოტა რამაც რომ შესძლო,—შენ თამამად შეგიძლია პიონერის სახელი ატარო და ღირსიც იქნები წითელი ყელსაკიდისა.

მაშ, იყავ მზად!

დავ. კარბელი.

# სამი თაობა

(დასასრული)

**როგორ ხელმძღვანელობს პარტია კომკავშირს!**

კომკავშირი მუშაობს პარტიის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა არ არის ისეთი, როგორც კომკავშირის ხელმძღვანელობა პიონერებზე.

კომკავშირი ხელმძღვანელობს პიონერებს უშუალოდ და თავის რიგებში გამოყოფილ კომკავშირელ—ხელმძღვანელებს აყენებს რაზმის თავად. პარტია კი ხელმძღვანელობს კომკავშირელებს შემდეგნაირად:

ჩვენ ვიცით, რომ პარტია ანხორციელებს საერთო ხელმძღვანელობას პარტიულ ყრილობებზე, კრებებზე, კონფერენციებზე და პარტიულ კომიტეტებში, დადგენილებით კავშირის საერთო მუშაობაზე და აძლევს მას საერთო დირექტივებს.

მაგალითად უკანასკნელ მე-XIII პარტიულ ყრილობაზე დასმული იყო საკითხი ახალგაზრდობის შესახებ. მოხსენებას აკეთებდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ამხ. ბუხარინი, რომელმაც მოგვცა თავის მოხსენებაში სხდომის მიერ გამოტანილ რეზოლიუციით საერთო დირექტივები, საერთო მიმართულება კომკავშირის მთელი მუშაობისა. ამ დირექტივებს უნდა დაემორჩილოს როგორც მთელი კომკავშირი, ისე ცალკე ყოველი კომკავშირელიც. ასეთივე დირექტივები, დადგენილებები გამოაქვთ ადგილობრივ ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებზე და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტშიაც.

მეორე ფორმა პარტიის კომკავშირზე ხელმძღვანელობისა არის პარტიის მიმაგრებულთა ინსტიტუტი, რომელიც არსებობს უმეტესად კომკავშირის უჯრედებში.

ყველა ქარხნის ან სოფლის-თემის უჯრედში ჰყავთ ერთი ხანდახან კი მეტიც მიმაგრებულნი პარტიიდან კომკავშირთან. ეს მიმაგრებული პარტიული ყოველთვის კი არ მუშაობს კომკავშირში. ის ასრულებს თავის განსაზღვრულ მუდმივ პარტიულ, პროფესიონალურ ან საზოგადო მუშაობას, ან წარმოადგენს მანქანის მუშას.

კომკავშირში კი მისი მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ როდესაც ის ესწრება კომკავშირის კრებებს, ბიუროს სხდომებს ანდა სხვადასხვა თათბირებს, აძლევს მას რჩევას იმ შემთხვევაში, თუ კომკავშირელებს გაუჭირდათ რამე საკითხის გარჩევა ანდა ვერ გაარჩიეს სწორეთ. აი ამაში მდგომარეობს პარტიულ მიმაგრებულთა ამოცანა.

პარტია იმდენ მუშაკებს ვერ გამოჰყოფს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ უშუალოდ იმუშაონ კომკავშირში უჯრედების მდივნებად, ანდა აწარმოონ იქ სხვადასხვა რომელიმე მუდმივი სამუშაო. ის მხოლოდ გამოჰყოფს მიმაგრებულებს, რომელნიც მხოლოდ ეხმარებიან კომკავშირელებს მუშაობაში. აი რა არის ინსტიტუტი მიმაგრებულთა, რომლის საშუალებითაც პარტია უშუალოდ უკავშირდება და მუშაობს კომკავშირში.

მესამე და ყველაზე უფრო საყურადღებო ფორმა ხელმძღვანელობისა გამოიხატება იმ ხელმძღვან-

ლობაში, რომელსაც აწარმოებენ თვით კომკავშირელები, რომელნიც ერთსადაიმავე დროს არიან წევრნი ან კანდიდატი პარტიისა. ვთქვათ, კომკავშირის უჯრედს, სადაც ასი კაცია, ჰყავს პარტიის წევრი (ან კანდიდატი) ოცი კაცი, რა თქმა უნდა ეს უკანასკნელნი სარგებლობენ იმ უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვს დანარჩენ პარტიის წევრს ან კანდიდატს, რომელნიც არ არიან კომკავშირში.

არის სპეციალური დადგენილება, რომ არც ერთ პარტიის წევრს ოცი წლის მიღწევამდის არ აქვს უფლება არ იყოს კომკავშირში.

და აი ამ პარტიულ ამხანაგებს უფრო დიდი პასუხისმგებლობა აძევს პარტიის წინაშე, ვიდრე უპარტიო კომკავშირლებს.

პარტია იმათ არ აწყობს, არ შეჰკრბეს მათ კომკავშირში რამე განსაკუთრებულ პარტიულ ფრაქციებად, რადგან კომკავშირის ორგანიზაცია (სულაც, რომ არ ჰყავდეს პარტიის წევრები ან ისინი იყვნენ სულ ცოტა) მთლიანად ემორჩილება პარტიის დადგენილებას. ამისთვის პარტია არ ჰქმნის, ფრაქციებს, ეს სწორიც არ იქნებოდა და საერთოდ არ არის საჭირო შიგ კომკავშირში, პარტიული ფრაქციების შექმნა, სადაც პარტიის წევრები განსაკუთრებულად გამოიყოფებოდენ და დამოუკიდებლად გაარჩევდენ წინასწარ იმ საკითხებს, რომელიც ირჩევა კომკავშირელთა შორის. მაგრამ ყველა წევრი პარტიისა, რომელიც წარმოადგენს იმავ დროს კომკავშირელსაც, უნდა ატარებდეს პარტიის წინაშე უფრო დიდ პასუხისმგებლობას, ვიდრე უპარტიო კომკავშირელი. ის ყოველთვის უნდა ფიქრობდეს მასზე, თუ რა სისწორით მიჰყავს მას კომკავშირის მუშაობა, ისე მიჰყავს თუ არა ეს მუშაობა, როგორც შეეფერება პარტიის ინტერესებს. ყველა მისი გადაწყვეტილება (სხვადასხვა წინადადება) ყოველთვის შეთანხმებული უნდა იყოს პარტიულ უჯრედის ბიუროსთან ან მდივანთან.

კომკავშირელი—პარტიის წევრი (ან კანდიდატი) ჯერ არის პარტიის წევრი და შემდეგ კი კომკავშირის, ე. ი. მისთვის პარტიის დისციპლინა უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე კომკავშირის.

თუ კომკავშირმა როგორმე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის გადაწვეტილებას (თუმც ეს არ მოხდება, ანდა მოხდება ძლიერ იშვიათად), მაშინ კომკავშირელი (პარტიის წევრი) ვალდებულია ყოველ მიზეზის გარეშე დაუმორჩილდეს პარტიის უჯრედის გადაწყვეტილებას. ის კი არა, მან უნდა გაატაროს პარტიის გადაწყვეტილება თვით კომკავშირში, უნდა აუხსნას ამხანაგებს, პარტიის გადაწყვეტილების შესრულების აუცილებლობა მათთვის და გაატაროს ის ცხოვრებაში.

აი სამი ძირითადი ფორმა, რის საშუალებითაც პარტია ხელმძღვანელობს უშუალოდ კომკავშირლებს, მაშასადამე ჩვენ ვხედავთ, რომ კომკავშირი ყოფილა დამოუკიდებელი ორგანიზაცია და პიონერების კი დამოკიდებული.

**როგორ არის მოწყობილი რ. კ. პ. (ბ.)**

ეხლა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ ეწყობა ჩვენი პარტია. აქ ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება, რადგან ყველასთვის ნათელია, რომ არ შეიძლება არსებობდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სდგას პარტიის სათავეში. პარტია ემორჩილება მხოლოდ კომინტერნის აღმასკომს. პარტია აშენებულია, ასე რომ ვთქვათ, დემოკრატიულ ცენტრალიზმის პრინციპების მიხედვით. აი ეს რას ნიშნავს: ყველაზე უმაღლეს ორგანოს პარტიისას წარმოადგენს პარტიული ყრილობა, რომელიც ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს. ყრილობიდან ყრილობამდე კი უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილებებს უნდა ემორჩილებოდენ პარტიის ყველა დანარჩენი ორგანიზაციები. და აი სწორედ ამაში მდგომარეობს არსებითად ცენტრალიზმი, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აქვს უფლება გაატაროს მთელი პარტიის სახელით ყველა მუშაობები ყრილობიდან ყრილობამდე და იმაშიც, რომ ყველა გადაწყვეტილებანი გამოაქვთ პარტიის ყრილობაზე. ყოველივე გადაწყვეტილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ დაუშვებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია არ იქნება მთლიანი ერთეული. თუ ცენტრალური კომიტეტი დაუშვებს რამე შეცდომას, მას გაასწორებს მხოლოდ პარტიის ყრილობა, მაგრამ ამ ცენტრალიზმს რისთვის უწოდებენ დემოკრატიულს?

იმისთვის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოწყობილია ასე: 1) პარტიის ც. კ. და კომიტეტები ირჩევიან ყრილობის მიერ 2) ძირითადი გადაწყვეტილებები მიდიან ქვევიდან, პარტიის წევრების მასებიდან ცენტრალურ კომიტეტთან ე. ი. სწყვეტენ უჯრედებში პარტიულ ყრილობამდის, და შემდეგ კი ირჩევა ცენტრალურ კომიტეტში. დემოკრატიზმი მასში მდგომარეობს, რომ ცენტრალური და ყველა ადგილობრივი კომიტეტები იზიდვენ თათბირში, გადაწყვებილებებში და მთელ მათ ამოცანების გატარებაში ყველა პარტიის წევრების მასებს. ეს დემოკრატიზმი ყოველთვის შესაძლებელია არ ხდება იმიტომ, რომ არის ისეთი საკითხები, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე სამეურნეოშიც, რომლის გადაწყვეტა ცენტრალურ კომიტეტს უხდება დამოუკიდე-

ბლად და არც აცნობებს ხოლმე ყველა პარტიის წევრებს, რადგან ჩვენი საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია კაპიტალისტურ ქვეყნებით და არის ისეთი საკითხები, რომლებიც გასავრცელებელი და სალაპარაკო არ არის.— რადგან ეს ხელსაყრელი იქნებოდა მთელი ქვეყნის კაპიტალისტების და რუსეთის თეთრგვარდიელთათვის.

ამისათვის გასაგებია, რომ ყველა საკითხების დასმა ყოველივე პარტიის წევრის წინაშე გადასაწყვეტად არ შეიძლება. როდესაც იყო სამხედრო კომუნიზმის პერიოდი, და იყო სამოქალაქო ომი, მაშინ არ იყო დრო რამე საკითხების გასარჩევათ, მაშინ საჭირო იყო უფრო მეტი და ჩქარი მოქმედება.

და დღესაც არის მთელი რიგი კითხვები, მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც არ შეიძლება გადავცეთ ყველა პარტიის წევრს გასარჩევად, რადგან ამას უნდა ბევრი დრო და ეს კი შეაფერხებდა და სწორეთაც ვერ გადასწყვეტდა საკითხს.

ამისთვის ყრილობიდან ყრილობამდე ცენტრალური, ან საგუბერნიო და სხვ. კომიტეტები, როდესაც მუშაობენ ყრილობის დირექტივებზე, დამოუკიდებლად არჩევენ საკითხებს, რომელიც არ გადააქვთ გამოსარკვევად ყველა პარტიულ ორგანიზაციებში. ძირითად უფრო რთულ, უფრო მტკივან, საკითხებს მუშათა კლასისას აძლევენ გასარჩევათ ყოველთვის მთელ პარტიულ წევრების მასებს როგორც, მაგ. საკითხი **შრომის ნაწარმოების** და სხვა საკითხები ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისას.

აი რაში მდგომარეობს ეგრედწოდებული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები.

ამავე პრინციპებზეა აგებული კომკავშირელთა ორგანიზაცია. კომკავშირელთა ორგანიზაციაშიაც უმაღლეს ორგანოს კომკავშირისას წარმოადგენს კომკავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობათა შორის კი ლენინის ახალგ. კომკავშირი.

**მჭიდრო კავშირი პარტიის, კომკავშირის და პიონერების შორის.**

ამრიგათ ვხედავთ, რომ ჩვენ გვყავს სამი ორგანიზაცია, რომელშიც ხვდება სამი თაობა მუშათა და გლეხთა კლასისა. ეს არის პარტია, კომკავშირი და პიონერები. მათ შორის არსებობს უმჭიდროესი კავშირი, კავშირი არა თუ მათ შორის როგორც მთელი ორგანიზაციების, არამედ არსებობს კავშირი თვითეულ პარტიის, კომკავშირის და პიონერების წევრებს შორის. ჩვენ გვყავს კიდევ ერთი ძველი ორგანიზაცია, რომელშიაც ხვდებიან ერთმანეთს სამივე თაობა. ეს არის ოჯახი. ხშირად ამბობენ, რომ ოჯახი უშლის შესვლას კომკავშირში, პარტიაში და ხანდახან პიონერების რაზმშიც კი. ამ შემთხვევაში იმ ოჯახში არსებობს განხეთქილება.

ყოველი კომკავშირელი, ყოველი პიონერი და ყოველი პარტიის წევრი გრძნობდა, თუ რამდენად აფერხებდა მის მუშაობას ეს განხეთქილება, რომელიც არსებობს პროლეტარულ, და მით უმეტეს არაპროლეტარულ, გლეხთა და სხვა ოჯახებში, სადაც ხშირად თუ მამა—პარტიის წევრია, დედა უპარტიოა, თანაც ღვთის მორწმუნეა და ხშირად უჯავრდება ხოლმე მამას.

ანდა, თუ მშობლები უპარტიო არიან და შვილები კი კომკავშირლები ან პიონერები, მშობლები ხშირად აგინებენ, ხანდახან სცემენ კიდეც, რომ ისინი დადიან კომკავშირში ან პიონერთა რაზმში სამუშაოდ.

კომუნიზმის დროს არ იქნება ისეთი ოჯახი, რომელიც წარმოადგენდეს განცალკევებულ, დამოუკიდებელ ერთეულს.

ბავშვებს აღზრდიან საბავშო ბაღებში და ბავშთა ორგანიზაციებში მთელი დღის განმავლობაში. ასე რომ ოჯახი როგორც მთელი, დამოუკიდებელი, არ იქნება. მაგრამ ამ ოჯახთა მოწყობა ჯერ კიდევ ძლიერ შორს არის და ამ დრომდის ერთი უმთავრეს ამოცანათაგანს ყველა პარტიის წევრების, კომკავშირელების და პიონერებისას შეადგენს, რომ შექმნან იმ ძველ ოჯახიდან, რომელიც იყო აგებული ოჯახის ყველა წევრების განხეთქილებებზე, ახალი, მჭიდროდ შეკავშირებული კომუნისტური ერთეული, სადაც თვითეული ერთმანეთს გაუწვდის ხელს და დაეხმარება.

ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ ოჯახის ყველა წევრები იყვნენ პარტიის წევრნი, კომკავშირის ან პიონერების. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას სრულიად, მთლიანათ ვერ მივაღწევთ, მაგრამ ამ ამოცანის მიღწევისკენ უნდა მივისწრაფებოდეთ ყოველ მიზეზ გარეშე, რადგან მთელ რიგ ოჯახებში ეს ამოცანა შეიძლება განხორციელდეს.

უკვე ახლაც არის ბევრი ოჯახი, სადაც მშობლები პარტიის წევრნი არიან, და ბავშვები ან კომკავშირში ანდა პიონერთა რაზმში. (რა თქმა უნდა, თუ არ ვგულისხმებთ მოხუცებულებს და მთლად პატარა ბავშვებს) თუმცა ახლა გამოჩნდენ ისეთი ორგანიზაციებიც კი, რომელნიც აერთებენ ბავშვებს 10 წლამდის—,,ოქტომბრელები''.

თვითეული კომკავშირელის ამოცანას წარმოადგენს ის, რომ არა თუ ეწეოდეს აქტიურ მუშაობას თავის ორგანიზაციაში, არა თუ ეწეოდეს აქტიურ მუშაობას თავის წარმოებაში და უპარტიო მუშებს შორის, არამედ უნდა მიიზიდოს თავისი მშობლები, თავისი უფროსი დები და ძმები კომუნისტურ პარტიაში, უმცროსნი კი პიონერთა რაზმში.

და აი ამ შეკავშირებას სხვადასხვა თაობათა შორის (სულ ერთია, არის ეს შიგ ოჯახში

თუ საწარმოოში ან კლუბებში) აქვს უდიდესი მნიშვნელობა და სამუდამოდ აყალიბებს მშობლებსა და ბავშვებს შორის დამოკიდებულობის საკითხს. ძველ ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს, სადაც არსებობდა სხვადასხვა კლასები, სადაც ერთი კლასი სჩაგრავდა მეორეს, ყოველთვის იყო მტრული განწყობილება მშობლებსა და ბავშვებს შორის. მამებისა და შვილების საკითხი ერთი უმრავლესი საკითხთაგანი იყო, რომელიც ირჩეოდა **წარსულ და ახლანდელ საუკუნის** ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებში.

და მართლაც ყველა ბურჟუაზიულ, თავადაზნაურთა ოჯახებში არ იყო ერთსულოვნება და (თუ ავიღეთ აზნაურის ოჯახს) ყოველთვის ხდებოდა განხეთქილება, როდესაც მამას ძველი მონობის წესწყობილება იზიდავდა და ბავშებს კი, რომელნიც იყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში, უკვე გაეცვნენ ბურჟუაზიულ წესწყობილებებს, საზღვარგარეთ მოგზაურების დროს, ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, უფრო სურდათ ბურჟუაზიული წესწყობილება, წინაალმდეგ, მამებისა, რომელთაც უფრო მეფე უნდოდათ, და განუსაზღვრელი მონარქია.

თუ ჩვენ გლეხის ოჯახს ავიღებთ, დავინახავთ, რომ იქაც ხშირი იყო ასეთი განხეთქილებები. როდესაც მშობლებს იზიდავს მდიდარი გლეხობის „წურბელა“ ელემენტები, მაშინ გლეხთა ახალგაზრდობა მიისწრაფის კომუნისტურ პარტიისა და კომკავშირისკენ. და ასეთი განხეთქილებები ძველსა და ახლებს შორის იქნება მანამდის, სანამ არსებობს საზოგადოებრივი და კლასობრივი დაყოფვა.

ეს საკითხი გადასჭრა კომუნისტურმა პარტიამ, სადაც ახალ და ძველ თაობათა შორის დაყოფა არ ყოფილა, არ არის და არც იქნება.

კომუნისტური პარტია ეს არის ისეთი პარტია რომელიც თვითონ თავისი მიზნებით, თავისი მოქმედებებით, მუშაობით, თავისი აგებულობით, წარმოადგენს პარტიას მოწინავე პროლეტარიატის კლასისას. ამ პარტიაში მოხუცებულებიც კი ახალგაზრდდებიან, იმისთვის, რომ არ შეიძლება ჩვენ გვყავდეს ისეთი ხალხი, რომელნიც არ იქნებოდენ სულით ფხიზელი, რომელნიც უარს არ იტყოდენ თავის კერძო კარჩაკეტილ ცხოვრებაზე, და რომელნიც მთელ თავის ძალას და ღონეს არ შესწირავდენ კომუნიზმის განხორციელებისთვის ბრძოლას, იმისთვის, რომ ჩვენი პარტია იცავს ახალგაზრდათა, თვით რევოლიუციონერთა მუშათა კლასის ინტერესებს.

ჩვენს პარტიაში დაყოფვა მოხუცებულებად და ახალგაზრდებად არ იქნება იმდენად, რამდენადაც ჩვენი პარტია წარმოადგენს მებრძოლ — ავანგარდს პროლეტარიატისას, და ნათელყოფს მთლიან მუშათა კლასის ინტერესებს.

**ძველი და ახალი კომუნისტური გვარდია.**

აი რისთვის უნდა მივისწრაფვოდეთ ჩვენ მეტი მჭიდრო კავშირის შესაქმნელად ძველ თაობის მუშათა კლასის, ძველ პარტიულ გვარდიის და ახალგაზრდა კომკავშირთა გვარდიის შორის. ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ამ კავშირის გაძლიერებაზე ოჯახში, საწარმოოში, კლუბებში და ყველა საზოგადო მუშაობაში და არასდროს არ უნდა დავუპირისპიროთ მოზარდი თაობა ძველ თაობას.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდას კიდევ ბევრი რამ აქვს შესასწავლი აი იმ ძველ კომუნისტურ პარტიის წევრებიდან. მხოლოდ უკანასკნელები კი უფრო მეტ ყურადღებას და მეტ ენერგიას ანდომებდენ მოზარდ თაობის აღზრდას.

ძველმა კომუნისტურმა გვარდიამ გაიარა ლენინის კარგი სკოლა რევოლიუციონურ ბრძოლაში. კომუნისტურმა ახალგაზრდობამ უნდა შეითვისოს ეს ცდა ბრძოლისა, უნდა გაკაჟდეს ბოლშევიკურად იმისთვის, რომ ისწავლოს ბრძოლა ისე, ანდა კიდევ უკეთესად, ვიდრე იბრძოდენ ძველი წევრები პარტიისა წარსულ წლებში ფარულად, სამოქალაქო ომის დროს ან და ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც ისინი აწარმოებენ უსასტიკეს ბრძოლას ძველ ყოფა ცხოვრების და საერთოდ ძველ ცხოვრების პირობების წინაალმდეგ. აი რისთვის გვჭირდება ჩვენ უმჭიდროესი კავშირი ჩვენი პარტიის ძველ გვარდიისა და მოზარდ მუშაკთა შორის.

მაგრამ მეორეს მხრით ამ პარტიის ძველ წევრებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ მათ თავისი ძალის და ენერგიის მაქსიმუმი მოანდომონ იმას, რომ შესძლონ უკეთ მიუდგენ მუშათა კლასის მოზარდ თაობას. ჩვენ შორის ამოცანები ერთიდაიგივეა.

განხეთქილება ჩვენ შორის არ არის.

მოზრდილი კომუნისტური პარტიაც და მოზარდიც წარმოადგენენ ერთნაირ კლასს ერთნაირ ინტერესებით.

პარტია, კომკავშირი და პიონერები ახლა უფრო შემჭიდროებული უნდა იყვნენ ყველგან, დაწყებული ოჯახიდან, შინაგან პარტიის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციამდის.

ყველგანაა საჭირო განუყრელი კავშირი გაკაჟებულ ომებში, ძველ მუშათა და ახალგაზრდათა ჯერ კიდევ პოლიტიკურათ მოზარდ მუშათა და გლეხთა თაობის შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადიღე-ჩერქეზეთი

(დასასრული.)

აი ეს ხალხი ეკვეთა დიდ და ძლიერ რუსეთს. საბედისწერო იყო მათთვის ეს ომი. ისინი იძულებული გახდენ ჩაბმულიყვნენ ამ ომში: ამისათვის რუსეთის მეფეს და მის გენერლებს მათი მოსპობა სურდათ. მეფის გენერლების მოხსენებებში ხშირად გამოსჭვივის, რომ ადიგეელები მუდამ ცდილობდენ რუსეთთან მშვიდობიანი დამოკიდებულება დაეჭირათ, მიღებულ ვალდებულებებს არქაული პატიოსნებით ასრულებდენ, ბევრსა სთმობდენ კიდეც და რუსთა მოსახლეობასაც ხშირად დიდ დახმარებას უწევდენ; მაგრამ მიუხედავად ამისა, იმპერიალისტები მაინც პოულობდენ მიზეზებს, ჩერქეზების რუსებისადმი მტრულ განწყობილებაზე ელაპარაკათ და ერწმუნებიათ ყველანი, მათთან მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელიაო. ატამანები-გენერლები მუდამ საჭიროდ სთვლიდენ მათზე ლაშქრობას და აოხრებას. ისინი ივიწყებდენ, რომ კაზაკები და ჯარისკაცები ხშირად ჰპარავდენ ჩერქეზებს ყოველივეს, რაც დასჭირდებოდათ. მაგრამ თუკი ჩერქეზები სულ მცირედ რამეს მოიპარავდენ, ასანაზღაურებლად აულებს ჯარს შეუსევდენ და დიდსა და პატარას ხოცავდენ და ანადგურებდენ; ხშირად ჯარს სურსათი შემოაკლდებოდა ხოლმე და დანაკლისს ჩერქეზებისაგან მოტაცებულით ავსებდენ. მეფესაც თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის გადიდება სურდა და იწყებოდა ლაშქრობა. ჯარები ატამანების-გენერლების მეთაურობით შეეჭრებოდენ ხოლმე ადიგეელებს, აულებს ცეცხლითა და მახვილით სპობდენ, საქონელს მოერეკებოდენ, პურს და თივას, თუ წამოღებას ვერ მოახერხებდენ, ცეცხლს უკიდებდენ. ასეთი მოქმედებისათვის მეფეები აჯილდოვებდენ და აწინაურებდენ თავის ერთგულ მსახურთ. ასე ექცეოდენ გენერლები არა მარტო დამოუკიდებელ ჩერქეზებს, არამედ უკვე დამორჩილებულებსაც. საინტერესოა ამ მხრით გენ. ვლასოვის მაგალითი. ეს უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში შავი ზღვის ნაპირის ჯარების სარდალი იყო. რამდენ ბოროტებას ჩაიდენდა ის, შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ ის გადააყენეს დამორჩილებული მთელი ტომის განადგურებისათვის.

ასეთი მოქმედება გენერლებისა კიდევ უფრო აწვავებდა ბრძოლას, რომელმაც უკიდურეს წერტილამდე მიაღწია, როცა საქმეში ჩაერია შამილი.

შამილის ემისარებში, რომლებიც ადიგეელებში მუშაობდენ, ყველაზე ნიჭიერი იყო მაჰამედი ემინი, რომელმაც შარიატის მიხედვით გამოაცხადა, ყველა თანასწორიაო. ამგვარად, ის თავად-აზნაურობის უფლებებს სპობდა. თავად-აზნაურობა ამას, რასაკვირველია, ადვილად ვერ დაეთანხმებოდა. დაიწყო სოციალური ბრძოლა. ამ ბრძოლაში თავად-აზნაურობას მუდამ შველოდენ რუსის გენერლები და ეს კი ხალხში კიდევ უფრო მეტ მძულვარებასა და რისხვას იწვევდა.

თვით ადიგეელთა ქვეტომებშიაც არ იყო ერთგულება: ზოგი თავად-აზნაურობამ მიიმხრო, ზოგი კი მაჰამედ ემინს მიემხრო. მაგრამ თუნდაც ერთად ყოფილიყვენ, რა უნდა გაეწყო ერთ მუჭა შეუიარაღებელ ხალხს ძლიერი ლაშქრის წინაღმდეგ.

1864 წელს რუსეთის ჯარები გრაფი ევდოკიმოვის მეთაურობით რკინის რკალად შემოერტყა ყოველი მხრიდან ადიგეელებს და წინადადება მისცა, ყველანი გადასახლებულიყვენ დონის ოლქში ან მიეტოვებიათ რუსეთის საზღვრები. დამორჩილებული ჩერქეზეთის ტერიტორია უკვე რუსეთად იქცა.

დიდი გმირობა, სიმამაცე და დიდსულოვნება გამოიჩინა საწყალმა ერმა, მაგრამ რას გააწყობდა!..

უმრავლესობამ ოსმალეთში გადასახლება ირჩია, უმცირესობა კი დამორჩილდა და ისინი გადასახლეს ჭაობიან ადგილებში მდ. ყუბანისა და ლაბის გასწვრივ. საუკუნოებრივი ომის დროს ხშირად უნდოდათ ადიგეელებს შერიგება და სინდისიერი მოპყრობით ადვილად შეიძლებოდა შეთვისებულად ცხოვრება და აღარ დასჭირდებოდა ხალხს ოსმალეთში გადასახლება. მაგრამ ეს არ იყო გენერლების სასარგებლო და ისინი განგებ ამწვავებდენ მდგომარეობას და აქეზებდენ ადიგელებს. 1859 წელში ჩერქეზეთი რუსეთის იმპერიის კუთვნილებად გამოაცხადეს და მოუსპეს უცხოეთთან საალებმიცემო კავშირის უფლება და საშუალება. „სავაჭრო ეზოებში“ კი, რომელიც რუსებმა დააარსეს, ჩერქეზებს არ უშვებდენ, ადიგეელებს ამგვარად აღარ შეეძლოთ არც თავისი ნაწარმოების გასაღება და არც უსაჭიროესი რამეების შეძენა. ერთის სიტყვით, განზრახული იყო მათი სრული განადგურება.

ოსმალეთში გადასახლებას თან საშინელი პირობები სდევდა.

ჩერქეზებს არ ჰქონდათ არც დრო და არც შეძლება ყველაფერი თან წაეღოთ, ამიტომ საოჯახო ნივთებს, ქვაბებს, სპილენძეულობას, ცელებს, ნამგლებს და სხვას მიწაში ფლავდენ, შენობებს, პურს და თივას სწვავდენ, მარტო ბაღებს და ყანებს სტოვებდენ ხელშეუხებლად—სჩანს მათში არ ჩამქრალიყო სავსებით იმედი, რომ ოდესმე თავის ნასახლარს დაუბრუნდებოდენ. ოსმალეთისაკენ მგზავრობამ, აოხრების სურათი, კიდევ უფრო მეტი მწუხა-

[stamp]

რებით და ქირვარამით შეავსო. ისინი ჰკარგავდენ არა მარტო ქონებას, არამედ ძვირფას ადამიანებსაც. მთის ქედებზე გადასვლის დროს, ზამთარში ემიგრანტებს ეყინებოდათ ხელ-ფეხი. უფრო სუსტები იხოცებოდენ. გზებზე დარჩენილი საფლავები მკაფიოდ ლაპარაკობენ, თუ როგორ უწყალოდ სპობს ძლიერი ხალხი, იმპერიალისტური მსვლელობის დროს, უფრო სუსტს. შავი ზღვის ნაპირებზე ჩერქეზები ახალ უბედურებას განიცდიდენ: გემები არ იყო საკმარისი. გემის პატრონები, როგორც ამბობენ, ხშირად დატვირთავდენ თავის ხომალდებს ემიგრანტებით, გაიყვანდენ მათ ზღვაში, მერმე ყველას წყალში გადაჰყრიდენ, მათ ქონებას მიითვისებდენ და ისევ ნაპირზე ბრუნდებოდენ სხვების წასაყვანად. ყოველ შემთხვევაში, ზღვის ტალღებმა ათასობით გამორიყა ნაპირზე ჩერქეზთა გვამები. ვინც ხმელეთით გაემგზავრა, იმათშიც ბევრმა ვერ მიაღწია ოსმალეთამდე. (ჩერქეზების გადასახლების დროინდელი ამბავი საუცხოვოდ აქვს აღწერილი ა. ყაზბეგს მოთხრ. ელისოში).

არც რუსეთში დარჩენილ ადიგეელების მდგომარეობა ყოფილა უკეთესი. გადმოსახლების დროს მხოლოდ იმას სცდილობდენ, რომ ხალხი რაც შეიძლება დაეუძლურებიათ და თავდაცვის უნარი ჩაეხშოთ მათში. დანარჩენს კი არაფერს არ აქცევდენ ყურადღებას. იმ ჭაობშიაც კი, სადაც ჩერქეზები გადმოასახლეს, მხოლოდ იმდენ მიწას აძლევდენ, რომ დიდის გაჭირვებით შეიძლებოდა საკმარისი პურის მოყვანა. არც მებაღეობა და არც მესაქონლეობა, რომელსაც ადიგეელები მუდამ მისდევდენ და დახელოვნებულებიც იყვენ, აქ მიწის სიმცირის გამო აღარ შეიძლებოდა. დამცირება, შეურაცყოფა, აუცილებელი რამეების უქონლობა და ავადმყოფობა—აი რა გამოსცადეს დარჩენილებმა და რას უნდა შებრძოლებოდენ ისინი ახალ, უვარგის ადგილებზე.

მაშინ მთავრობა შეუდგა დარჩენილების გარუსებას. ყველას, ვინც ცოტათი მლიქვნელობას იჩენდა, აჯილდოებდენ, ხოლო დანარჩენები წინანდებურად უუფლებონი იყვნენ; მათი მოსახლეობის გარშემო დაასახლეს კაზაკები. თუ ჩერქეზს ამ ფარგლიდან გამოსულს დაინახავდენ, დაუნდობლად ჰკლავდენ როგორც ყაჩაღს, აბრეკს, როგორც ადამიანს, რომელიც კანონ-გარეშე იყო გამოცხადებული.

მშრომელი ხალხი კი გულჩათხრობილი განმარტოებით სცხოვრობდა და პროტესტის გამოცხადებას მხოლოდ იმით ახერხებდა, რომ არ სწავლობდა რუსულ ენას, არ ითვისებდა რუსულ ზნე-ჩვეულებებს. ჩერქეზებში განათლების შეტანაზე არავის უფიქრია, მხოლოდ დამსახურებულ-დაჯილდოებულ ჩერქეზების შვილებს იღებდენ შორეული ქალაქების სასწავლებლებში და ზრდიდენ მეფის, და არა თავისი ხალხის, ერთგულ მსახურებად.

1864 წელს დარჩა რუსეთში და ჩაასახლეს მდ. ყუბანის და ლაბის დაბლობებში 200,000-მდე ადიგე, მაგრამ დარჩენილთა უმრავლესობა იხოცებოდა სხვადასხვა სნეულებისაგან და ყინვისაგან. ჭაობიანმა მდებარეობამ საბოლოოდ დაუკარგა მათ ჯანმრთელობა. სადღა არის ჩერქეზების წინანდელი სილამაზე, ტანადობა და სიჯანსაღე? ხალხი დაჩავდა, დაავადდა, შემცირდა. ამჟამად სულ 65,000-მდე ადიგეელა არის.

აუტანელი პირობები და სნეულებანი არის მიზეზი, რომ მათი რიცხვი კი არ მატულობს, არამედ ყოველწლიურად კლებულობს, სიკვდილი დაბადებას სჭარბობს.

ამგვარად გააუბედურა რუსეთის იმპერიალიზმმა ჩერქეზები და პირწმინდად ამოწყვეტის გზაზე დააყენა.

—

მაგრამ მეფის და მისი მსახურების სურვილები არ გამართლდა. დაემხო ტახტი და მასთან ერთად მოისპო მისი უსინიდისო მიზნებიც.

დიდმა რევოლიუციამ ფეხზე წამოაყენა ადიგეელებიც. ,1918 წელში მათ შეძლება მისცეს, შეექმნათ თავისი მწერლობა, გამოეცათ პირველი წიგნები და დაეარსებიათ სკოლები.

1921 წელს ადიგე-ჩერქეზეთი გამოჰყვეს ავტონომიურ ერთეულად და ის შედის რ. ს. ფ. ს. რ. კავშირში. ამჟამად ადიგე შეიცავს 7500 ოთხკუთხ ვერსს მიწას და 120,000 მცხოვრებს, რომელთაგანაც 65,000 ჩერქეზია. აქვს 87 სკოლა, რამდენიმე ქარხანა, საცდელი სადგურები და, ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც საჭიროა ხალხის კულტურული გზით მსვლელობისათვის. ხალხიც, გუშინ მოხრილი და თავჩაქინდრული, წელში გასწორდა და ამაყად ჰგრძნობს თავს, თავს გრძნობს ადამიანად, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება არც რუსს და არც სხვას. მომავალსაც ისინი უკვე იმედიანად უყურებენ და ცდილობენ კულტურულ ხალხს წამოეწიონ. მართალია, ადიგე—ჩერქეზეთი ღარიბია და თავის დაწესებულებებს ვერ შეინახავდა, მაგრამ საკავშირო აღმასკომი აწვდის საჭირო თანხებს და უზრუნველყოფს მას. ასეთი სასწაული მოახდინა იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელიც სიკვდილის და ჩაგვრის მეტს არას მოელოდა, რევოლიუციამ და მისმა მესვეურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ.

ი. ა.

ლის მოთამაშენი უფრო ადრე შეეხებიან ბაირაღებით დანიშნულ ადგილს და გამობრუნდებიან უკან. მოთამაშეებს აკრძალული აქვთ გამოხტენ ხაზიდან, სანამ ბაირაღს არ მიიღებენ.

3. იმ ნაირივე ესტაფეტია, როგორც № 2, მხოლოდ პირველი წყვილი სტოვებს რამე ნივთს (ერთს ან რამოდენიმეს, შეიძლება დანაწილდეს განსაზღრული პირობით) ორ შემოხაზულ ოთხკუთხედში 20—50 ნაბიჯის მოშორებით წინ და დაბრუნებული ეხება შემდეგ მოთამაშეს ხელზე. შემდეგი მოთამაშეები მირბიან თავიანთ ოთხკუთხედებისაკენ, იღებენ იქ დატოვებულ ნივთებს და გადასცემენ შემდეგ მოთამაშეებს, იმათ მიაქვთ ნივთები ოთხკუთხედში და ასე, სანამ ყველა არ გაიმეორებს. იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო ადრე მიიტანს, ან მოიტანს ნივთებს.

4. იმნაირი ესტაფეტია, როგორც № 2. მხოლოდ მოთამაშეების პირველი წყვილი მირბის ასკინკილით, მეორე მირბის ფორთხვით, მესამე მირბის ჩვეულებრივად და სხ.

5. ორივეა ჯგუფი ჯდება მიწაზე. ორ წყებად ერთი მეორეს შემდეგ. ნიშანის მიცემის შემდეგ, მოწინავე მოთამაშეები აწოდებენ. მაღლა თავზე ხელის გადაწევით, უკან მჯდომარე მოთამაშეს რაიმე ნივთს (მაგ. ბასკეთბოლის ბურთს). ისინი კი გადასცემენ შემდეგს. როდესაც უკანასკნელი მოთამაშე მიიღებს ნივთს, წამოხტება მირბის და ჯდება სულ წინამჯდომარე მოთამაშის წინ და ახლა ის იწყებს იმავე წესით გადაცემას. იმარჯვებს ის ჯგუფი, რომლის წინა მოთამაშე ისევ პირველ რიგში დაჯდება პირველად. აკრძალულია ნივთის გადაცემა, სანამ მოთამაშე დაჯდება.

6. **რბენა ბურთით.** მოთამაშენი დგებიან წყებად, განიერად გადგამენ ფეხებს. პირველ დარაჯთან ხაზზე არის დადებული ბურთი. ნიშნის მიცემის შემდეგ, მწკვრივის თავში მდგომმა, უნდა გადასცეს ბურთი მის უკან მდგომ მოთამაშეებს, ისე რომ ბურთმა გაიაროს გორვით მოთამაშეების გადგმულ ფეხებში. როდესაც ბურთი მიაღწევს, მწკვრივის უკანასკნელად მდგომარე, მოთამაშესთან, ის იღებს მას ხელით და მირბის თავის ჯგუფის მარცხენა მხრიდან წინ ხაზისაკენ და დგება წინა მოთამაშის წინ. და ახლა თვითონ უნდა გააგოროს ბურთი უკან მოთამაშეების ფეხების შუა. როდესაც ბურთი ისევ მიაღწევს უკანასკნელ მოთამაშეს, ის იჭერს და ისევ ისე მოქმედობს როგორც პირველი, ასე სანამ ყველანი არ მოათავებენ. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომლის უკანასკნელი მოთამაშეც დასდებს ბურთს წინ გაყვანილ ხაზზე

7. **ჭოთურმა.** მოთამაშეები დგებიან მწკრივად, ერთი მეორის შემდეგ ერთმანეთზე 2 მეტრის დაშორებით. ნიშანის მიცემის შემდეგ, ყველა მოთამაშე, მწკვრივის სულ უკან მდგომს გარდა, დაიღუნება და ეყრდნობა ხელებით მუხლებს. სულ ბოლოს მდგომი უნდა გადაახტეს მის წინ მდგომარეს, მერე მეორეს, მესამეს და სხ. შემდეგ, როგორც კი შესაძლებელი იქნება, იწყებს, მწკვრივის ბოლოდან მდგომარე, მეორე მოთამაშე, გადაახტება ბოლოდან მესამეს, მეოთხეს და სხ. მერმე მესამე ბოლოდან—მეოთხეს და სხ. როდესაც ის, რომელმაც პირველად დაიწყო გადახტომა, გადაახტება ყველა მოთამაშეებს, დადგება წინ 2 მეტრის დაშორებით და დაიხრება. ახევე იქცევიან დანარჩენი ყველა მოთამაშენი რიგრიგობით. ის ჯგუფი, რომელის მოთამაშეც პირველი გადაახტება მთელ მწკვრივს, იმარჯვებს.

8. ისეთივე ესტაფეტია როგორც № 2., მხოლოდ მოთამაშენი მირბიან უბაირაღოთ, ტომრებით (განიერ ტომრებს იცვამენ და წელზე იკრავენ) განსაზღვრულ ადგილამდე 10—15 ნაბიჯის სიშორეზე. იქ იხდიან ტომრებს, მოაქვთ უკან სირბილით და გადასცემენ შემდეგ მოთამაშეებს. შემდეგი მოთამაშეები იცვამენ ტომრებს და მირბიან და სხ.

9. **სავარცხელების შეჯიბრება.** ორი მწკვრივი გადააჯდება ჰოლოკს ან ბაწარს. ჰოლოკის სიგრძე არ უნდა სცილდებოდეს დანიშნულ ხაზს. ნიშნის მიცემის შემდეგ, მთელი მწკვრივი მირბის წინ ერთად, სანამ ორივე მწკვრივის უკანასკნელი კაცი არ გადააბიჯებს დანიშნულ საზღვრის ხაზს. როცა გადააბიჯებს, ორივე მოტრიალდება ირგვლივ და მირბის უკან. რბენა თავდება, როდესაც მწკვრივის უკანასკნელი კაცი გადმოაბიჯებს ხაზს. თუ არ არის ჰოლოკი, ან ბაწარი, შეიძლება მოთამაშეებმა ერთმანეთს წელში ჩაჰკიდონ ხელი.

10. **მუხლუხების შეჯიბრება.** მოთამაშენი დგებიან მჭიდრო მწკვრივებად. ნიშანის მიცემისთანავე, ყოველი მოთამაშე სწევს მაღლა მარჯვენა ფეხს, წინ მდგომი იკავებს აწეულ ფეხს მარჯვენა ხელში. ამ ნაირად ორი მწკვრივის მოთამაშენი დგანან მარცხენა ფეხებზე. ნიშნის მიცემის შემდეგ, მწკრივები ხტომით მირბიან წინ დანიშნულ ხაზამდის. ის მწკვრივი, რომლის უკანასკნელი მოთამაშე პირველი გადაახტება ხაზს, გამარჯვებულად ითვლება.

11. **ხელურემით რბენა.** მოთამაშენი დგებიან ორ წყებად დანიშნულ ხაზზე. პირველი წყების მოთამაშენი ჰკიდებენ პირველი წყების მოთამაშეებს კოჭებში ხელებს, აუწევენ ფეხებს და გამოდის ხელურემის მსგავსი ფიგურა. ნიშნის მიცემისთანავე, მეორე წყების მოთამაშენი ჰბიძგავენ „ხელურემს" დანიშნულ ადგილამდის. რომელი ხელურემიც პირველი მივა დანიშნულ ადგილას, ის გამარჯვებულად ითვლება.

ეს რბენა შეიძლება მხოლოდ ათ ნაბიჯზე მოეწყოს.

12. **რბენა დაბრკოლებებით.** იმნაირივე ესტაფეტია როგორც № 2., მხოლოდ გზაში ეწყობა სხვა და სხვა დაბრკოლება. მაგალ. სკამი, გაჭიმული ბაწარი. უძირო კასრი და სხ. დაბრკოლება გამოიხატება იმაში, რომ რბენის დროს უნდა გაძვრეს სკამის ფეხებში, გადახტეს ბაწარზე, გაძვრეს კასრში და სხ.

13. **საერთო რბენა.** ამას გარდა საინტერესოა დიდ მოედანზე მოეწყოს საერთო რბენა, მოთამაშენი გამწკვრივდებიან ერთ ხაზზე და ნიშანის მიცემისთანავე მირბიან დანიშნულ ადგილამდის 20—50 ნაბიჯზე. ვინც უფრო ჩქარა მიირბენს, გამარჯვებულად ითვლება.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1925 წ.

## გამოდის
## ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული
## ჟურნალები

მოზრდილთათვის **„წითელი სხივი“** წელიწადი 2

მცირეწლ. **„ნაკადული“** წელ. მე-XXI

ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რესპუბლიკ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

## „წითელი სხივი“
და
## „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება თვიურად

| | | |
|---|---|---|
| ცალკე | „წითელი სხივი“ | 45 კ. |
| „ | „ნაკადული“ | 30 კ. |

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივის“ და „ნაკადულის“ რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

შეკ. № 2541. — ტირ. 3000.